სპორტი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 მაისი 2004 №120 (2139) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლიც მიშამ გაიტანოს?!

ნაკრები წყლიდან მშრალი ამოვიდა

ბადრი ჯობავაძის ფოტოები

ალენ ჟირესს ებრაელებთან მარცხმა გული კი დასწყვიტა, მაგრამ ფრანგს ოპტიმიზმი არ დაუკარგავს

ფოტო ფრანგული ფოსტიდან



გოგიტა გოგუას ახალგაზრდული გოლი

გუშინ საღამოს თბილისში წვიმა და ფეხბურთი იყო. წვიმა თითქმის ყოველდღიურად გვსტუმრობს, სანაკრებო ფეხბურთით კი განებივრებულნი არ ვართ. წვიმა ნაცნობი და ყოველთვის ერთნაირია, ხოლო ფეხბურთს განსხვავებულს ველოდით, რაკი ეროვნულ ნაკრებს ახალი, თანაც უცხოელი მწვრთნელი ჰყავს. ზოგს წვიმა მობეზრდა, ზოგსაც წლების განმავლობაში ნანახი ერთფეროვანი ფეხბურთი, მაგრამ ხალხი მაინც მივიდა სტადიონზე. არა მხოლოდ იმიტომ, რომ დასწრება უფასო იყო. ქომაგს ქომაგობა მოენატრა და გუშინ გულიც იჯერა, მაგრამ საქართველოს ეროვნული გუნდი დამარცხდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდულმა მოიგო და უკვე მერამდენედ... მომავლის იმედი ალბათ არ უნდა დავკარგოთ.

გოლიც მიშამ გაიტანოს?!

ამხანაგური მატჩი

თბილისი. 27 მაისი. 20 საათი. ლოჯომოტივი. 23 000 (ტევადობა 25 600)

საქართველო 0:1 ისრაელი

0:1 ბადირი (34)

შეცვლა: გოლანი – 8. ნიმნი (46), მუჯირი – 13. სირაძე (66), აფეკი – 19. ჰოლცმანი (69), ასათიანი – 16. მენთეშაშვილი (89), კობიაშვილი – 14. აფციაური (90)

გაფრთხილება: აფეკი (12), გოლანი (30), ბენ იოსეფი (36), კალაძე (56), გერშონი (81)

მსაჯები: ო. ორეხოვი; ი. სპორეიკო, ვ. ოლშანეცკი (სამივე უკრაინა); ა. მეშკოვი (საქართველო)

დელეგატი: ა. მილჩენკო (საქართველო)

ალექსანდრე იაშვილმა არც თავი დაზოგა, არც მეტოქე, მაგრამ მაინც უგოლოდ დარჩა

ვაჟა ხუციშვილი

საქართველოს ნაკრებმა ალენ ჟირესის თავკაცობით პირველივე საშინაო მატჩი წააგო.

ეს არ იყო ისეთი მარცხი, გულშემატკივრები თამაშის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე სტადიონიდან უიმედოდ რომ მიდიან. მთელი მატჩი გადაუღებლად წვიმდა, ქომაგებმა კი მომაბეზრებლად გაშინაურებული კოკისპირული არად ჩააგდეს. ისინი გაილუმპნენ გოლის მოლოდინში, რომელიც საქართველოს ნაკრებმა ვერ გაიტანა.

გუშინ ჟირესის გუნდს ყველაზე მეტად კარში ზუსტად დამრტყმელი აკლდა, რომელსაც შესანიშნავად მოთამაშე დავიდოვიჩი იცავდა.

სტუმართა მეკარეს საქმე მეორე ტაიმის მიწურულს მოუმრავლდა. დავიდოვიჩი მხოლოდ ერთხელ შეცდა და მცველმა დააზღვია — ბურთი ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ურეალურესი საგოლე მომენტი, სხვა მხრივ კი სტუმართა მეკარემ მეტოქე ფეხბურთელებს არაერთხელ შემოარტყმევინა თავში ხელები, რადგან ჩარჩოში დამიზნებული ყველა ბურთი მოიგერია.

ებრაული გოლი ქართულ კარში

ებრაელებმა შესვენებამდე ათი წუთით ადრე გაგვიტანეს. უკვე მერამდენე მატჩია, საქართველოს ნაკრები პირველ ტაიმს აგებს ისე, რომ გოლს ტაიმის მიწურულს უშვებს. ეს საშინელი ტრადიციაა, რომელთანაც ჟირესიც უძლურია.

სტუმრებმა შეტევა მარჯვენა ფლანგიდან წამოიწყეს. მცველებმა ვერ გამოიტანეს საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი, რომელიც ბადირს მიუვიდა. მანაც ლომაიასგან მარჯვენა კუთხეში ზუსტად დაჰკრა. მეკარემ დარტყმის მომენტი ვერ დაინახა და ამიტომაც იდგა გაუნძრევლად — ბურთს ბადეშიღა შეავლო თვალი.

საქართველოს ნაკრები გოლამდეც და გოლის შემდეგაც უფხოდ, მაგრამ უტევდა. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ გულშემატკივრები ბოლომდე გაჩერდნენ. შეტევებს დახვეწა სჭირდება, რაც დროს და პრაქტიკას მოითხოვს. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ამხანაგური შეხვედრა გველის მოლდოვასთან და ამ მატჩით რამდენი რამ უნდა მოასწროს მწვრთნელმა?!

ოთხი მცველით მოთამაშე ქართველებს ნახევარდაცვაში ბურთის გაუმართლებელი თრევა ჯერჯეროობით ალენ ჟირესმაც ვერ მოაშლევინა.

მსაჯინძლების ფლანგურ შეტევებში კახა კალაძე გამორჩეული იყო. მეორე ტაიმში მოულოდნელად აწვდიდა ბურთს მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ ამაოდ. ერთ ეპიზოდში წაქცევისთვის პენალტს ითხოვდა, მეტოქე მცველი აუხირდა, საპასუხოდ კი ქართველთა კაპიტანი მკერდით ეძგერა და სტუმარი კარგა ხანს იჭმუჭნებოდა მოედანზე.

კიდევ ერთი მცირე შეხლა მოხდა კობიაშვილსა და ებრაელ მოთამაშეს შორის მოედნის კიდესთან. კვლავ გვასახელეს ვაი-გულშემატკივრებმა, რომლებმაც ნაირ-ნაირი საგნები ესროლეს მომხდურ ფეხბურთელს.

ორიოდ წინადადება მსაჯებზეც ვთქვათ. რამდენჯერმე აშკარა თამაშგარე არ აღნიშნეს და იმავდროულად არარსებულებიც გამოიგონეს. მათ შეცდომებს მატჩზე დიდი გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ იმდენი კი შეძლეს, რომ სტადიონზე შეკრებილთ თავი რუსულად გაალანძღინეს.

გოლსმოწყურებული ხალხი „მიშა-მიშას“ ყვიროდა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი განაცხადში არ იყო.

კახა კალაძე შეტევაში უფრო გამოირჩა

ნამატჩევს

ისრაელის ნაკრების მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე დაიგვიანა. ალენ ჟირესი უკვე კითხვებზე პასუხობდა, აბრაამ გრანტი გაღიმებული რომ შემოვიდა. რაკი სტუმართა გუნდის თავკაცს ბევრს არაფერს გამოჰკითხავდნენ, გრანტმა მოკლედ მოჭრა: „საქართველოს დარ ძლიერ მეტოქესთან მოგებით ძალიან გახარებული ვარ". ეს თქვა და ფრანგ კოლეგასთან ხმადაბალი, მაგრამ ისეთი გულღია მასლაათი გააბა, რომ ჟურნალისტებისკენ ჟირესის მობრუნება გაძნელდა. მერე კი გრანტი კოლეგას დაემშვიდობა და შემდეგ ფრანგმა ილაპარაკა



ვ ფრაბ დელეგაციის ფოტო

— მარცხით, ცხადია, უკმაყოფილო ვარ. სამაგიეროდ, იმედი მაქს, რომ გუნდი კიდევ უფრო მოუმატებს. სათამაშო დისციპლინის მხრივ წინსვლა აშკარად შეიმჩნევა. სამწუხაროდ, ვერ გავიტანეთ გოლი, რომელსაც ნამდვილად ვიმსახურებდით.

— ფეხბურთელებს დაღლა არ ეტყობოდათ და ნაადრევი ცვლილებისგან თავი ამიტომ შევიკავე. დაცვაში უფრო მსურდა ვინმეს შეცვლა, მაგრამ სათადარიგოებში უკეთესი არავინ მყავდა.

— ვფიქრობ, თითოეულმა ფეხბურთელმა დავალება შეასრულა, თუმც დასახვეწი ბევრი გვაქვს.

— ძალიან მომეწონა კვარაცხელიას თამაში. მან ჩემს მოლოდინს გადააჭარბა.



გაფრი ალიევის ფოტოები

ლევან კობიაშვილი: ბუნებრივია, თამაშით უკმაყოფილო ვარ, წავაგეთ და იმიტომ. თუმცა ამხანაგური თამაშებით პროგნოზების გაკეთება ყოველთვის ნაჩქარევი და არასწორია. ჩვენს წარუმატებლობას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა, თუნდაც ის, რომ ნაკრების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ოპტიმალური ფორმიდან შორს იყო. მთავარია, ამ წაგებიდან სწორი დასკვნა გავაკეთოთ. ვფიქრობ, ჟირესმა თანამედროვე ფეხბურთის ნიუანსები კარგად იცის და მის ხელში უკეთესი შედეგი გვექნება.

გიორგი ლომაია: ბურთის აღების შანსიც არ მქონია. ძალიან იღბლიანად დამირტყეს, თანაც ჩვენები მეფარებოდნენ. ისრაელის ნაკრების მეკარემ კი საუცხოოდ ითამაშა. მეტოქე მომეწონა, ძალიან ჭკვიანურად, კონტრშეტევებზე ააგო თამაში და ხეირიც ნახა.

რატი ალექსიძე: წაგებას გული ასე არასოდეს დაუწყვეტია. უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ გოლი არაფრით არ გავიდა. მადლობა გულშემატკივრებს. მათი მხარდაჭერა დიდი სტიმული იყო ჩვენთვის, მაგრამ არ გაგვიმართლა.

ლევან ცქიტიშვილი: ძალიან უკმაყოფილო ვარ, ვერ მოვიგეთ, არა და, მატჩამდე წაგებაზე ფიქრი წარმოუდგენელი ჩანდა. მძიმე მატჩი გამოვიდა და შეცდომებიც ბევრი გვქონდა. ისრაელის ნაკრებმა თანამედროვე ფეხბურთს ალღო აუღო, რაც მათი დაცვისა და ნახევარდაცვის უშეცდომო მოქმედებაშიც ჩანდა.

დავით მუჯირი: გოლმა აგვრია და პირველი ტაიმის დარჩენილი დრო ჩავაგდეთ, ჩვენი თამაში ვერ ვიპოვეთ. მეორე ნახევარში კი თითქმის ყველაფერი დალაგდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო ვნერვიულობდით და შეცდომებსაც ვუმატეთ. ძალიან მოვიწადინეთ, რომ არ შევრცხვენილიყავით ჩვენი ქომაგის თვალწინ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

კახა მეკვანძე: საკუთარი თამაშით უკმაყოფილო არა ვარ, დებიუტანტის კვალობაზე ურიგოდ არ მითამაშია. ბიჭები დამეხმარნენ და ნერვიულობამაც გადამიარა. სხვამხრივ, გულდასაწყვეტი მატჩი იყო. მეტოქემ ერთხელ დაარტყა კარში და გაიტანა. არ გაგვიმართლა, ორსამ გოლს თუ არა, ერთს მაინც ვიმსახურებდით.

ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები

თბილისი. 27 მაისი. 16 საათი. ერევნული. 1 000 (ტევადობა 70 900)

საქართველო 3:1 ისრაელი

1:0 გოგუა (2), 2:0 მოდებაძე (20პ), 3:0 ჭელიძე (45), 3:1 სარსური (60)

საქართველო: თოთლაძე (ბალაძე 82), ციმაკურიძე, ა. კალაძე, ჩიკვილაძე (ღვინიანიძე 89), ლომიძე, გოგუა (რაქვიაშვილი 74), გ. ნუგ. ჭელიძე, ალადაშვილი (გურული 46), სამხარაძე (ჯიქია 56), ხოჯავა (ელიავა 86), ი. მოდებაძე (ფიფია 63)
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

მოლდოვა: ალმადონი, აზარია, აბუ რაია (დანინი 54), ჰაიმოვიჩი, კაინანი, ოჰაიუნი, შეი (იანივი 80), კოჰენი (მორი 63), კოენი (გოლანი 46), ბირუქი (დიზანი 46), სარსური
სათადარიგონი: ნირი, ვოლკი
მწვრთნელი: მოშე სინაი

გაფრთხილება: კაინანი (9), გოგუა (10), კოჰენი (23), კალაძე (28), სარსური (35), დიზანი (60), ჭელიძე (66), ციმაკურიძე (69), გოლანი (72)

გაძევება: კალაძე (70)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; ლ. სილაგავა (ყველა საქართველო)

მატჩის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ქართველებს სამუშაო აქვთ, ებრაელებს სამოშვო

კახა შალამბერიძე

— ჩვენ ვუხეშობდით?! რას ამბობთ, ყველაფერი თქვენ დაიწყეთ — ბრალი დაგვდო გუშინ, საქართველო — ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართა მწვრთნელმა მოშე სინაიმ.

ცხრა გაფრთხილება და ერთი გაძევება ამხანაგური მატჩისთვის ნამეტანია. არადა, ალექსანდრე შილაკაძეს ფეხბურთელები რომ არ დაენდო, შესაძლოა, მოედანზე მის გარდა არავინ დარჩენილიყო.

— ფეხბურთელები ნერვიულობდნენ და ამის გამო კალაძე გააგდეს. ამას სხვა თამაშში არ გვაპატიებენ. მგონი, მსაჯს კიდევ შეეძლო რამდენიმესთვის წითელი ბარათის ამოღება, მაგრამ დაინდო. ახლა ამაზე უნდა ვიმუშაოთ. მსგავსი შეცდომები ოფიციალურ მატჩებში შესაძლოა, ძვირად დაგვიჯდეს — განაცხადა გოჩა ტყებუჩავამ.

უხეშობის და მოედანზე კოტრიალის გარდა გუნდებმა, განსაკუთრებით საქართველომ, რამდენჯერმე ლამაზი, კომბინაციური თამაშითაც დაგვამახსოვრეს თავი. გოგიტა გოგუას, გიორგი ჭელიძეს, გოჩა ხოჯავას და ირაკლი სამხარაძეს დიდ გაწამაწიაში ჰყავდათ ებრაელი მცველები. საერთოდაც, ისრაელისგან უფრო მეტს ველოდით, ამათი შემხედვარე კი ვერავინ იფიქრებს, ესენი ეიალ ბერკოვიჩის და იოსი ბენაიუნის ქვეყნიდან არიანო. თუმც ერთი კია, მოშე სინაის ტანმაღალი, ფიზიკურად ძლიერი ბიჭები შეუკრებია და კარგი გაშალაშინებით, როგორც ხდება ხოლმე, ამათგანაც შეიძლება ორი-სამი საშუალო ევროპული დონის ფეხბურთელის გამოთლა.

თამაშზე კი რა გითხრათ — ქართველებმა ერთი თავით აჯობეს მეტოქეს და დამსახურებულადაც მოიგეს. ანგარიში გოგუამ ორიგინალურად გათამაშებული ჯარიმით გახსნა მე-2 წუთზე. ამას ირაკლი მოდებაძის წინააღმდეგ უხეშობისთვის დანიშნული პენალტი მოჰყვა და ქართველთა ეულმა თავდამსხმელმა თავადვე გამოიყენა შანსი — 2:0.

ტაიმის ბოლოს კი ალადაშვილ-ჭელიძის უსწრაფესი კომბინაცია იყო. ჭელიძემ, რომელმაც ნაკრებს პირველად უკაპიტნა, ცხრიანში გაჭედა ბურთი.

მეორე ტაიმი შედარებით მშვიდი გამოდგა. ჩვენებურებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ უზუსტონი იყვნენ. ებრაელებმა კი მე-60 წუთზე შეაგდეს პრესტიჟისა — რობელ სარსურმა ქარიფელ მცველებს „ჯურადღებოდ" ერეკპატრა და ახლოდან გაიცალა.

თამაშის დანიშნულ ადგილზე ნაკრების მწვრთნელი [illegible] რიტსლევი ესწრებოდა. მოგეხსენებათ, დანია ევროშესარჩევში ჩვენი მეტოქეა და ვიკინგმა სტუმარმა გოჩა ტყებუჩავას სამწყსოს შეავლო თვალი.

გაფრი ალიევის ფოტო

გოჩა ტყებუჩავა: კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით, რაც დავავალე, თითქმის 70 პროცენტით შეასრულეს. მომავალში კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო.



გაფრი ალიევის ფოტო

მოშე სინაი: ძალიან სუსტად ვითამაშეთ, თან სწრაფი გოლი გავუშვით და ამან ხასიათი გაგვიფუჭა. მეორე ტაიმში კი შევუტიეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ქართველებიდან მეექვსე (გოგუა) და მეათე (ხოჯავა) ნომრები მომეწონა. ჰო, არ დამავიწყდეს, მსაჯზეც: კარგი იქნებოდა, თამაში არ წასვლოდა ხელიდან, ამან კი ფეხბურთელები ანერვიულა.

გიორგი ჭელიძემ კაპიტნის სამკლავური გოლით აღნიშნა

გაფრი ალიევის ფოტო

სახეს ერთ წელიწადში შევქმნი

გეგუჩაძე დინამოსთვის მიქსერს ამზადებს

თბილისის „დინამომ“ ახალი მწვრთნელის ხელში სეზონი უტიტულოდ არ ჩაამთავრა — ივო შუშაკის შემცვლელის, 38 წლის გია გეგუჩაძის თავკაცობით საქართველოს თასი მოიპოვა.

გეგუჩაძის „დინამო“ უწინდელს ნაღდად არ ჰგავს, ახალმა მწვრთნელმა ახლებურად ათამაშა გუნდი და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მომდევნო სეზონშიც გეგუჩაძე უხელმძღვანელებს „დინამოს“

მწვრთნელის სვე: ხან წუხილია და ხან სიხარული... თასი — გეგუჩაძის პირველი ტიტული

— როგორც „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი, საკუთარი თავით კმაყოფილი ხართ?

— თუ გინდა, სულ მეტს მიაღწიო, გულში ხინჯი ყოველთვის გრჩება და უკმაყოფილო ხარ.

— მესამე ადგილი და თასი — ამ ეტაპზე ეს მაქსიმუმი იყო „დინამოსთვის“?

— მაქსიმუმი დუბლი იქნებოდა, მაგრამ ერთმა წაგებამ „ვიტ ჯორჯიასთან“ ამის უფლება არ მოგვცა. რაც გუნდში მოვედი, ყველა თამაშში ცაიტნოტში ვიყავით — ქულის დაკარგვის უფლებაც არ გვქონდა, ფეხი ერთხელაც არ უნდა დაგვცდენოდა. „ვიტ ჯორჯიასთან“ მარცხზე კიევში ლობანოვსკის ტურნირზე გამგზავრებამაც უარყოფითად იმოქმედა — გუნდი გადაიღალა.

— სანამ „დინამოში“ მოხვიდოდით, წარმატებით მუშაობდით „დინამო 2“-ში, რომელიც პირველ ლიგაში გამოდის — „დინამო 2“-ის ძალიან მკვეთრ წინსვლას როგორ მიაღწიეთ?

— უბრალოდ, ჩემებური ხედვა მაქვს ფეხბურთში და ყველაფერი ეს აისახა სელექციაში, გუნდის მომზადებაში და წვრთნის მეთოდიკაში. „დინამო 2“-ის მთავარი მიზანი კი პირველი გუნდისთვის ფეხბურთელების მომზადებაა.

— და გსურთ, რომ „დინამოს“ და „დინამო 2“-ს ერთნაირი ტაქტიკური მოდელი ჰქონდეთ?

— არ შეიძლება, რომ „დინამო“ და „დინამო 2“ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდნენ. კლუბს საფეხბურთო აკადემიაც აქვს, სადაც სამი ასაკობრივი გუნდია და კლუბის ყველა გუნდი ერთიან სამწვრთნელო სისტემაშია მოქცეული.

— ყველაფერ ამის კოორდინატორი თქვენ ხართ?

— ეგრეა, ამას პირველი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა უნდა უხელმძღვანელოს.

— ზოგს მიაჩნია, რომ გია გეგუჩაძეს ასაკიან, სახელიან ფეხბურთელებთან ურთიერთობა უჭირს და ეს ფაქტორი თუ დააღალატებს...

— ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ურთიერთობა არავისთან არ გამჭირვებია.

— ისიც ფაქტია, რომ „დინამომ“ ბოლო წლებში დაკარგა მკვეთრად გამოხატული საკუთარი ხელწერა, დიდ, ტრადიციულ გუნდებს რომ ახასიათებს ისეთი — აპირებთ, რომ „დინამოს“ ეს დაუბრუნოთ?

— ეს უახლოეს მომავალში მოხდება — ერთ წელიწადში „დინამოს“ საკუთარი სახე ექნება.

— და როგორი იქნება „დინამოს“ სახე?

— ალბათ, ვერავინ იტყვის, რომ მე „დინამოს“ კატენაჩოს ვათამაშებ, „დინამომ“ უნდა შეუტიოს. მრავალფეროვნების მომხრე ვარ. ხანდახან მწვრთნელი ტაქტიკას იმის მიხედვით ირჩევს, რა ფეხბურთელებიც ჰყავს, ხანდახან კი პირიქით, მწვრთნელი ცდილობს, მის მიერ არჩეულ ტაქტიკას მოარგოს ფეხბურთელები. მე მსურს, რომ ამ ორი ტენდენციის მიქსი გავაკეთო.

— როგორც კი „დინამოში“ მთავარ მწვრთნელად მოხვედით, გუნდიდან ალეკო გოგობერიშვილი გაუშვით, ვინც „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო — მიგაჩნიათ, რომ პროფესიული ეთიკა ბოლომდე დაიცავით?

— გოგობერიშვილთან არანაირი პირადული კონფლიქტი არ ყოფილა. ეს ფეხბურთელი იმიტომ გავუშვით, რომ შეტევაში გუნდის თამაშს ამუხრუჭებდა. გოგობერიშვილი ერვნულ ნაკრების კანდიდატია და ის სათადარიგოთა სკამზე რომ დაგვესვა, ეს რაღაც მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, ხოლო ჩვენ გუნდში მშვიდი ატმოსფერო გვჭირდებოდა, გოგობერიშვილს „დინამო 2“-ში თამაშის საშუალება მივეცით და ვფიქრობ, პროფესიული ეთიკა დავიცავით.

— „დინამო 2“-დან პირველ გუნდში რამდენიმე ფეხბურთელი გადაიყვანეთ — კმაყოფილი ხართ ამ ახალგაზრდა მოთამაშეებით?

— კმაყოფილებიდან ჯერ შორს ვარ, ეს ფეხბურთელები ჩამოყალიბების პროცესში არიან. ისინი პირველ გუნდში ავანსად გადავიყვანეთ და აწი მათზეა დამოკიდებული ყველაფერი.

— შოთა კაშიათიც უკმაყოფილო ხართ?

— კაშია უკვე კარგა ხანია, რაც „დინამოს“ პირველ გუნდშია. ხვალ თუ ზეგ ის სერიოზულ ფეხბურთელად ჩამოყალიბდება. თასის ფინალში გოლი რომ გაიტანა, ესეც სიმბოლური იყო.

— ორ-სამი წლის წინ ძალიან ბევრს ველოდით გიორგი შაშიაშვილისა და ლადო ბურდულისგან, თუმც ასე არ მოხდა. როგორ ფიქრობთ, ამ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ?

— შაშიაშვილს პოზიცია შევუცვალეთ, დაცვის ცენტრიდან მარჯვნივ გადავწიეთ და ეს ფეხბურთელი თავს ახლა უფრო თამამად გრძნობს, შაშიაშვილს სპეციფიკური თვისებები აქვს და ფლანგზე რომ გავამწესეთ, ამან გაამართლა კიდეც. ვფიქრობ, მას შეუძლია სერიოზულ დონეზე თამაში. რაც შეეხება ბურდულს, სამწუხაროდ, მას ტრავმა გაუმიზეზდა და ბოლო მატჩებშიც ვერ ვათამაშეთ. არადა, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიცია ეროვნული ნაკრებისთვისაც პრობლემატურია და „დინამოსთვისაც“. ბევრი რამ თავად ფეხბურთელის მონდომებაზეცაა დამოკიდებული.

— განვლილ სეზონში რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა საქართველოს ჩემპიონატში, თუმც ყველაზე ბევრს დინამოელ სანდრო იაშვილზე ლაპარაკობენ...

— იაშვილს მართლაც კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ მეტი კონცენტრაცია და შრომისმოყვარეობა სჭირდება.

— მაღალი კლასის ფეხბურთელებით ღარიბნი ვართ და არის იაშვილი იმდენად ნიჭიერი, რომ ამ სიღარიბეს გარკვეული კომპენსირება გაუწიოს?

— თუ იაშვილი მოინდომებს, მას ეს შეუძლია.

— მომდევნო სეზონისთვის „დინამო“ მხოლოდ „დინამო 2“-დან მიიღებს შევსებას?

— ვაპირებთ, რომ სხვა ქართული გუნდებიდანაც გადმოვიყვანოთ ფეხბურთელები „დინამოს“ გასაძლიერებლად.

დავით თავართქილაძე

თბილისის „დინამოს“ ბრაზილიელი მცველი კარლოს და როჩა გუშინ გუნდიდან გაათავისუფლეს და როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ ის უკვე თბილისდან აბარგებული იქნება — კარლოსი დილაუთენია გაემგზავრა.

ბრაზილიელი ფეხბურთელი გუშინ, საქართველო — ისრაელის მატჩზე ვნახეთ, თავსხმა წვიმაში მგზავრთან ერთად იჯდა და თამაშს თვალს არ აშორებდა. მოკითხვის შემდეგ კი, ნაღვლიანმა, აი რა გვითხრა...

დღეს დინამოდან გამეშვეს

კარლოსის ცრემლი და მადლობა

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა, დღეს „დინამოდან“ გამათავისუფლეს, ხვალ დილით ბრაზილიაში მივემგზავრები და აღარ ჩამოვალ.

— ეგ როგორ, რა მოხდა?

— ამ დილით ბაზაზე დამიბარეს. კლუბის ტექნიკურ დირექტორს კახა ჭუმბურიძეს შევხვდი. რომელმაც გამომიცხადა კიდეც, რომ „დინამოს“ აღარ ვჭირდებოდი. ჩემთვის ეს ამბავი ძალიან მოულოდნელი იყო. საწყენია, რომ თბილისიდან მეგობრებთან და თანაგუნდელებთან დაუმშვიდობებლად მივდივარ. არადა ამ ორი წლის მანძილზე საქართველო ისე შემიყვარდა, ლამისაა აქაურობა აცრემლებულმა დავტოვო. თქვენი გაზეთის საშუალებით მაინც ვიტყვი ერთ სიტყვას: დიდი მადლობა საქართველოს, „დინამოს“ ყველა ქომაგს, ჟურნალისტს ჩემს მიმართ გამოჩენილი სითბოსა და ყურადღებისთვის...

— ბილეთი ადრე იყო აღებული, ვიცოდი, 28-ში წავიდოდი და დავბრუნდებოდი. უსიამოვნო იყო, რომ რეისამდე რამდენიმე საათით ადრე დამიბარეს და მაშინ მითხრეს ეს ამბავი. ხომ შეიძლებოდა ერთი კვირით, ორი-სამი დღით ადრე მაინც ეთქვათ, თასის ფინალის მერე გუნდიდან თავისუფალი იქნებიო?!

— გამოდის „დინამომ“ კონტრაქტი გაგიწყვიტა...

— დიახ, „დინამოში“ თებერვლამდე უნდა მეთამაშა, მაგრამ...

— საკომპენსაციო თანხა უკვე მიიღე?

— ერთი თვის ხელფასი და განთავისუფლების ფურცელი ავიღე.

— და ახლა რას აპირებ?

— რა უნდა დავაპირო? ჩავალ ბრაზილიაში და მონატრებულ ცოლ-შვილს ჩავეხუტები. ცოტას დავისვენებ და იმედია, ახალ გუნდს მალე მოვძებნი.

— როგორ ფიქრობ, რატომ გაგიშვეს გუნდიდან?

— ახალ მწვრთნელს აღარ ვჭირდებოდი, ეტყობა მისი მოთხოვნები ვერ დავაკმაყოფილე.

კოგა ინასარიძე

კარლოსის ბოლო ქართული ტიტული თასი გამოდგა

გახოკიძე ტვენტეს დაემშვიდობა

30-ში, ალბათ, სხვაგან

გოგა გახოკიძე ჯერჯერობით კვლავ ენსხედეშია, თუმც გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ქართველი ნახევარმცველი ამ ქალაქის გუნდში აღარ ითამაშებს. გახოკიძის და „ტვენტეს“ გზები ოფიციალურად გაიყარა. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ტვენტელთა გუშინდელ, მორიგ მცდელობას ჰოლანდიელთათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. „ტვენტემ“ ვერაფრით დაითანხმა გახოკიძე კონტრაქტის გაგრძელებაზე.

— დიდი სურვილი ჰქონდათ ჩემი დატოვების, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, სხვა რა გზა ჰქონდათ, მადლობა გადამიხადეს და წარმატება მისურვეს ენსხედელებმაო, გვითხრა გოგამ, გუშინ რომ შევეხმიანეთ. დღე-დღეზე გახოკიძე თავის მენეჯერს შეხვდება და ამის შემდეგ გაირკვევა ახალი კლუბის ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ გოგას მსურველები ჰოლანდიაში „ტვენტეს“ გარდა სხვებიც არიან, სათუოა ჩვენებურის ტიტების ქვეყანაში დარჩენა. ალბათ სხვა ქვეყანაში გავაგრძელებ კარიერას და ზუსტი პასუხი 30 მაისს მეცოდინებაო, თქვა გახოკიძემ.

პაატა ძვანტალიანი

სმიტი სწორ გზაზე

ალექს ფერგიუსონი



ალან სმიტი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ლიდსისგან“ 7 მილიონ გირვანქად შეიძინა ალან სმიტი და მას ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

23 წლის თავდამსხმელმა, „ლიდსში“ აღზრდილმა, სულით, ხორცითა და ქომაგობით ლიდსელმა, გუშინ სამედიცინო შემოწმებაც გაიარა.

„მანჩესტერმა“ ფულს 21 წლის მცველი, დენი პაფიც დაუმატა. „ლიდსი“ 6 მილიონს ახლავე მიიღებს, მილიონს კი მას შემდეგ, რაც სმიტთან მოაგვარებს ფინანსურ საკითხებს.

„მე ლიდსში გავიზარდე და აქ ბედნიერი ვიყავი — თქვა სმიტმა — ახლა მგონია, რომ სწორი გზით წამოვედი. ახალი გამოწვევის დროა, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვარ“.

სმიტს ლიდსელი ფანები ნაწყენები დაურჩნენ, რაღა ჩვენი განსაკუთრებული მტრის, „მანჩესტერის“ ბანაკი მოიწონაო. სერ ალექს ფერგიუსონს კი სწორედ ეს მოსწონებია, ბიჭმა, რომელიც ფეხბურთელადაც ძალიან მომწონდა, ჩვენთან თამაშის წყურვილით აღმაფრთოვანაო.

„იშვიათად, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს ჩემზე თავისი ქცევითა და ხასიათით — თქვა სერ ალექსმა — ის განსაკუთრებული განწყობით მოვიდა ახალ გუნდში. ასეთი განწყობა მას კარგ გზაზე ატარებს“.

ირაკლი გამყრელიძე

ბარსელონაში წმენდაა!

ოთხ ჰოლანდიელს კამპ ნოუს კარს უკეტავენ

გუშინ „ბარსელონას“ სპორტულმა დირექტორმა, ჩიკი ბეგირისტაინმა გუნდიდან ოთხი ჰოლანდიელი ფეხბურთელის შესაძლო წასვლის ამბავი გაუმხილა მედიას. რაიკარდის შეგირდთა შორის მომავალ სეზონში ფილიპ კოკუსა და მიქაელ რაიციგერს ვეღარ ვიხილავთ. კოკუს კლუბმა კვლავ შესთავაზა კონტრაქტის განახლება, თუმცა ფეხბურთელმა თავად იუარა. გუნდში ბრაზილიელი მცველის, ჟულიანო ბელეტის მისვლის მერე კი რაიციგერის ძირითადობა საოუთი გახდა და ამიტომაც „ბარსა“ მასთან კონტრაქტს აღარ განაახლებს. მარკ ოვერმარსისა და პატრიკ კლუივერტის კატალონიაში დარჩენაც საეჭვოა. „ვცდილობდით, პატრიკისთვის უკეთესი სათამაშო პოზიცია შეგვერჩია, თუმცა „კამპ ნოუზე“ ჩატარებულ უკანასკნელ მატჩში გულშემატკივარი მის სუსტ თამაშს აშკარა აგრესიით შეხვდა. ჩვენ არ შეგვიძლია, გუნდში გვყავდეს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ქომაგს აღიზიანებს “ — განაცხადა ჩიკი ბეგირისტაინმა. ოვერმარსთან კონტრაქტის განახლება კი გამორიცხული არ არის. გუნდიდან, სავარაუდოდ, ედგარ დავიდსიც წავა. 31 წლის ექსიუვენტუსელი ოთხწლიან კონტრაქტს ითხოვს, ხუან ლაპორტა ოდენ ორ სეზონზეა თანახმა. ამრიგად, **ფრანკ რაიკარდს** თანამემამულეთა ჩამოცილების გამო სამწვრთნელო პოლიტიკის შეცვლა მოუწევს. რაიკარდი კატალონიურ „ლიბრედირეკტოსთან“ ინტერვიუში ხუან ლაპორტას გადაწყვეტილებებს ეთანხმება...

— კლუბმა გადაწყვიტა, რომ რაიციგერთან და კოკუსთან კონტრაქტი აღარ განაახლოს. ამ გადაწყვეტილებამდე საფეხბურთო მიზეზთა გათვალისწინებით მივიდნენ, თუ უფრო საქმის ეკონომიკურ მხარეს გადახედეს?

— ვფიქრობ, აქ ორივე ფაქტორი გაითვალისწინეს. ფეხბურთელთან კონტრაქტის დადების ან განახლების დროს ფინანსები, მოთამაშის ასაკი და მისი სამომავლო გეგმები აუცილებლად უნდა განვიხილოთ. კოკუს გუნდმა ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზა, ზუსტად ისეთი, რომელიც მის საფეხბურთო ოსტატობას შეეფერებოდა, მაგრამ ფილიპმა თქვა, რომ სხვაგან თამაში სურს და „ბარსასთან“ დაცილება ნებაყოფლობით აირჩია. ვწუხვარ კოკუს წასვლის გამო. მისი პროფესიონალიზმი ძალიან დაგვაკლდება.

—ოვერმარსზე და კლუივერტზე რას იტყვით?

—მათ იცოდნენ გუნდში შექმნილი ვითარება და კლუბის თავკაცთა გადაწყვეტილება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

— რაიციგერს საერთოდ არაფერი შესთავაზეს. ამან არ გაგაკვირვათ?

— არა, მე ეს უკვე რამდენიმე დღის წინ ვიცოდი.

— შეიძლება ვთქვათ, რომ კლუივერტი, ოვერმარსი და რუშთუ „ბარსელონას“ ფეხბურთელები აღარ არიან?

— ჯერჯერობით ადრეა ამაზე ლაპარაკი. ალბათ კლუივერტი და ოვერმარსი „კამპ ნოუზე“ აღარ დარჩებიან, რუშთუ კი ისევ „ბარსას“ მეკარედ ითვლება.

დავიდსი ლონდონისკენ წავა

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ედგარ დავიდსს მიმართა ორწლიანი კონტრაქტით და ზედ დაყოლებული 6 მილიონი გირვანქით, „უაით ჰართ ლეინზე“ გადმოდიო.

ლონდონის „ივნიგ სტანდარტმა“ დაწერა, რომ „ტოტენჰემის“ ახალმა დირექტორმა, ფრენკ არნესენმა მთავარ სამიზნედ სწორედ დავიდსი დასახაო.

დავიდსი ახლა თავისუფალი აგენტია, „იუვენტუსიდან“ „ბარსელონაში“ ქირის ვადა გაუვიდა და ახლა წყვეტს, რა გზას დაადგეს.

მისმა აგენტმა რობერტ გირლინგმა დაადასტურა, რომ ძალიან მომგებიანი წინადადება აქვს ერთი ინგლისური კლუბისგან, თუმცა კლუბის სახელი არ დაუკონკრეტებია.

„ტოტენჰემი“ ახლო იყო დავიდსის ყიდვასთან იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას, მაგრამ მაშინ მაინც მისი „ბარსაში“ გაქირავება გადაწყვიტეს.

კატალონიაში დავიდსმა ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ გირლინგი აცხადებს, რომ კლუბი და ფეხბურთელი ვერ შეთანხმდნენ: „ედგარს არ აინტერესებს „ბარსელონა“.

ინგლისური მედია კი ყველას შეახსენებს, რომ დავიდსი „ჩელსისაც“ სურს და პატარა „ბოლტონსაც“, თუმცა, ეს უკანასკნელი ყოველივეს ჭორს უწოდებს, „ჩელსი“ კი დუმს.

ირაკლი გამყრელიძე

ი ყ ი დ ე ბ ა!

პერსონალური კომპიუტერები

პენტიუმ 1 (200 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 64 MB,
HDD — 1,2 GB, ვიდეო მეხსიერება — 1 MB,
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15”
ფასი — 100 $

პენტიუმ 1 (166 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB,
HDD — 2,0 GB, ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board),
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15”
ფასი — 100 $

ტელეფონი: 39-48-29, 38-11-14

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 39- 40-08



ლიბერტადორესის თასი 2004

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

დეპორტივო კალი (კოლუმბია) 1:3 *რივერ პლეიტი (არგენტინა)* (0:1)
1:0 ფ. ურტადო (13), 1:1 გალიარდო (21), 1:2, 1:3 კავენაგი (31, 69)

დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) 1:4 *სან პაულუ (ბრაზილია)* (0:3)
1:0 პანიგუტი (6), 1:1 გრაფიტე (23), 1:2 ლუის ფაბიანო (59), 1:3 ნერი (68), 1:4 ლუის ფაბიანო (88)

მექსიკა

კლასსიკა. 1/4 ფინალი. I მატჩები

კრუზ ასული 2:1 ხაგუარესი
ატლანტე 2:0 გვადალახარა

ბოსნია

თასის ფინალი

მოდრიცა ᲮᲓᲓ(პენ.4:2, 1:1) ბორაცი
0:1 ჯურიჩი (40), 1:1 ნოვაკოვიჩი (72)

სლოვენია

თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

დრავოგრადი 4:3 მარიბორი (0:3)
0:1 ზნუდერლი (33), 1:1 გოსტენჩიკი (6), 1:2 მუიანოვიჩი (43), 2:2 სრსა (61), 3:2 ლუბანიჩი (69), 3:3 ზნუდერლი (89), 4:3 ფრაიდლი (90)

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ფინალი

გელზენკირხენი. „აუფშალკე“. მსაჯები: ჯიმ-მილტონ ნილსენი; იორგენ იეპსენი, იენს ლარსენი; ჯონ-ერიკ ფისერი (ყველა დანია)

მონაკო (საფრანგეთი)

რომა, იბარა, როდრიგესი, გივე (სკილაჩი 72), ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, სისე (ნონდა 64), როტენი, ჟიული (პრსო 23), მორიენტესი
სათადარიგონი: ტონი სილვა; ელ ფაკირი, პლასილი, ადებაიორი
მწვრთნელი: დიდიე დეშანი

0:1 კარლოს ალბერტო (39),
0:2 დეკო სოუზა (71),
0:3 ალენიჩევი (75)

0:3

52 000 მაყურებელი

პორტუ (პორტუგალია)

ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, პ. მენდეში, კოშტინია, მანიშე, დეკო სოუზა (პედრუ ემანუელი 85), დერლეი სილვა (მაკკარტი 78), კარლოს ალბერტო (ალენიჩევი 60)
სათადარიგონი: ნუნუ მორეირა; რიკარდუ კოშტა, ბოსინგვა, იანკაუსკასი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ნუნუ ვალენტე (29), კარლოს ალბერტო (40), ჟორჟე კოშტა (77).
ჯარიმა: 10-14; **კუთხური:** 6-2; **კარისკენ დარტყმა:** 7-0; **კარში დარტყმა:** 0-3; **თამაშგარე:** 12-8



„პორტუმ“ 2003 და 2004 წლებში გააკეთა ის, რაც „ლივერპულმა“ 1975 და 1976 წლებში — პირველ სეზონში უეფას, ხოლო შემდეგ ჩემპიონთა თასები მოიგო. ეს წარმატება პორტუგალიის ჩემპიონმა ახალგაზრდა მწვრთნელის, ჟოზე მაურინიუს ხელმძღვანელობით მოიპოვა. გელზენკირხენის „აუფ შალკეს“ სარბიელზე მან „მონაკოს“ აჯობა 3:0.

„თასის ფლობა საგანგებო გრძნობას იწვევს“ — განაცხადა მატჩის შემდეგ მატჩის გადამწყვეტი გოლის ავტორმა დეკო სოუზამ.

„ჩემპიონთა თასთან გადაღებულ ფოტოს კედელზე დავიკიდებ, ჩემს ფეხბურთელებს გულით და სულით მივულოცავ წარმატებას, მაგრამ ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი ოჯახთან ყოფნაა“ — უპასუხა მაურინიუმ კითხვაზე თუ რატომ არ ზეიმობდა სხვებთან ერთად დიდ წარმატებას და რატომ დადიოდა მოქუფრული

მაურინიუს ბედნიერების რეცეპტი
ბევრი ფული და მოტივაცია

დიდებული გრძნობა მეუფლება. „პორტუში“ ორწელიწადნახევარი გავატარე და ეს პერიოდი უბრალოდ ზღაპრული გამოდგა. რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოვიგეთ. კლუბში პროფესიონალთა დიდებული ჯგუფი ვიყავით შეკრებილი, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს და ვფიქრობ, მათ რიცხვში ჩემს აქ მუშაობასაც. უახლოეს დღეებში ყველაფერს გადავწყვეტ, ოღონდ საამისოდ ჯერ კლუბის ხელმძღვანელებს უნდა დაველაპარაკო. დიახ, ყველაფერს „პორტუს“ უნდა ვუმადლოდე, მაგრამ წასვლაც მინდა. ერთი სიტყვით, დავიცადოთ და ვნახოთ, თუმცა იმავდროულად მინდა გულშემატკივართა გასაგონად განვაცხადო, რომ მე ისინი მიყვარს.

ჩვენ უეფას თასიც მოვიგეთ და ჩემპიონთა ლიგაც, კლუბებს და მწვრთნელებს კი ასეთი მიღწევები ჰქმნის. ვიცი, ყოველთვის მწვრვალზე ვერ ვიქნები, მაგრამ მე ნებისმიერი სცენარისთვის მზად ვარ.

რაც შეეხება კონკრეტულად ფინალურ მატჩს, ამ თამაშის გადამწყვეტი მომენტი მეორე გოლი გახლდათ.

„მონაკომ“ თავიდან ჩინებულად ითამაშა, მაგრამ მატჩის მსვლელობისას ჩვენ ვძლიერდებოდით და საბოლოოდ დამსახურებულად გავიმარჯვეთ. სხვა ამბავია, რომ ანგარიში 3:0 ობიექტურად არ ასახავს ჩვენსა და „მონაკოს“ შორის ძალთა სხვაობას. ეს ანგარიში „მონაკოსთვის“ უსამართლო გამოდგა.

ჩვენმა პირველმა გოლმა მონაკოელებს თამაშის გადაწყობა აიძულა, ხოლო მეორემ, როგორც მოგახსენეთ, ყველაფერი მოამთავრა. თავის მხრივ, მეორეს გატანა შესაძლებელი იმიტომ გახდა, რომ კარლოს ალბერტომ პირველით სასუნთქი სივრცე გამოგვინთავისუფლა, მეტოქეს შეტევაზე მეტი უკანმოუხედაობით აიძულა გადმოსვლა, ზოგადად კი ორივე გუნდმა უმაღლესი კლასის ფეხბურთი შესთავაზა მსოფლიოს.

ძალიან უცნაური კი ის მოხდა, რომ როდესაც მატჩი დასრულდა, მოვიხედე და დავინახე, რომ ჩემი მეუღლე და შვილები ჩემს უკან მსხდარან. თასისა და ფეხბურთელების დიდი პატივისცემის მიუხედავად მივხვდი, რომ ოჯახის წევრებთან ყოფნა ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. ცხადია, მერე ფეხბურთელებთან ერთად ვიზეიმე და სურათებიც გადავიღე, მაგრამ ის მომენტი, როდესაც ზურგსუკან ცოლშვილი აღმოვაჩინე, დიდებული გამოდგა.

ხოლო რაც შეეხება იმ საკითხს, რაც ყველას აინტერესებს და რაზე საუბარსაც ვერ გავურბირვარ — სად ვაპირებ მომავალი სეზონიდან მუშაობას. მინდა გითხრათ, რომ ბოლო კვირების განმავლობაში ბევრი უცხოური კლუბი დამიკავშირდა, რომელთა შორის მე ინგლისური მომწონს ყველაზე მეტად. იტალიიდანაც მივიღე წინადადებები, მაგრამ ჩემი არჩევანი ინგლისია.

„ჩელსის“ წარმომადგენლებთან ჩემზე საფუძვლიანად ჩემს აგენტს აქვს ნალაპარაკევი. დახეთ, რა ხდება: რაკი „ჩელსის“ მწვრთნელის გამოცვლა გადაუწყვეტია, ესე იგი, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქამდე რაღაც არ კეთდებოდა ისე, როგორც კლუბში ისურვებდნენ. ფეხბურთში წარმატების მისაღწევად ორი რამ არის საჭირო. ერთა ფული, რომელიც თუ გაქვს, სწორად უნდა დახარჯო და მეორეა მოტივაცია, რომელიც მაშინაა უფრო საჭირო, როდესაც ფული ცოტა გაქვს. ორივე ერთად კი, დამეთანხმებით, საუკეთესო ვარიანტია.

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ფინალური

დიდიე დეშანი: ჩვენ ადამიანურად დავმარცხდით

ჩვენი მთავარი პრობლემა ის გამოდგა, რომ „პორტუ“ უფრო გამოცდილი გუნდია, ხოლო ფინალში გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვწუხვარ, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა მთელი სეზონის განმავლობაში ამდენი იშრომეს, ბოლოს კი დამარცხდნენ. სეზონი ჯილდოს გარეშე ჩავამთავრეთ. ეს ფინალი ბიჭებისთვის პირველი რეალური შანსი იყო და ამ შანსის გამოყენება საკმაოდ ძნელი გამოდგა. საქმე გაგვირთულა ჟიულის ტრავმამაც. ის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, შემტევი სტილის ფეხბურთელია.

გარდა ამისა, „პორტუს“ გაუმართლა — ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა. უნდა ითქვას, რომ მათ ბევრი მომენტები არ შეუქმნიათ, მაგრამ რაც ითამაშეს, ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთი იყო. მეორე ტაიმში ჩვენ ისევ კარგად შევუტიეთ, მაგრამ ისევ „პორტუმ“ გაიტანა და ამის მერე ყველაფერი უკიდურესად გაგვირთულდა.

ერთი სიტყვით, „პორტუსა“ და „მონაკოს“ შორის აშკარა განსხვავებაა, „პორტუ“, როგორც მოგახსენეთ, გამოცდილია. მიუხედავად იმისა, რომ მარცხმა ძალიან დამწყვიტა გული, მინდა განვაცხადო, რომ ჩემპიონთა ლიგა ადამიანთა შეჯიბრებაა და ამ შეჯიბრებაში ჩვენ უდიდესი გუნდები დავამარცხეთ.

ჭორჭე პოშტა

ძნელია, წარმოიდგინო და დაიჯერო, რომ ეს ყველაფერი მართალია. ჩვენი ოცნება სინამდვილედ იქცა და ბედნიერი წუთები გვაქვს. რაც მოხდა, ამ დიდებულ კლუბში თითოეული ჩვენგანის გაწეული დიდი სამუშაოს შედეგია. მოკლედ, ზეიმზე უმჯობესს ვერაფერს გავაკეთებთ, მომავალ სეზონზე კი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი.

ვიტორ ბაია

„პორტუს“ მეკარეს პირად კოლექციაში ყველა ევროთასი აქვს: ჩემპიონთა თასი, უეფას თასი და თასების თასი.

პირველ ტაიმში გაგვიმართლა, მეორეში კი მოვახერხეთ და თამაში გავათანაბრეთ. პირველი გოლიც მეტისმეტად იღბლიან წამს გავიტანეთ. გამოჩნდა, რომ ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავს. ეს ჯადოსნური დღე იყო.

დეკო სოუზა

მატჩი, ფაქტობრივად, ჩემმა გოლმა დაასრულა. საოცარი გრძნობაა თასის მოგება, განა ფეხბურთელს უფრო დიდი ჯილდოს მოგება შეუძლია? ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს გუნდში ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ.

იცით, სასტუმროში ყოველთვის დერლეი სილვასთან ვარ ნომერში და ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად შევიკრიბებით შვილიშვილებთან ერთად და დღევანდელ ტრიუმფს გავიხსენებთ.

პაპუნა კედია

სამთასა ვიტორ ბაია

დეკო სოუზა

ბომბარდირები

ფერნანდო მორიენტესი	მონაკო	9
დადო პრსო	მონაკო	7
რონი მაჯაი	ბაიერნი	6
ვალტერ პანდიანი	დეპორტივო	6
დიდიე დროგბა	მარსელი	5
ჰაქან შუქური	გალათასარაი	5
ტიერი ანრი	არსენალი	5
ჟუნინიო პერნამბუკანო	ლიონი	5

ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი 1956–2004

13.06.56	პარიზი	რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი)	4:3
30.05.57	მადრიდი	რეალი (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია)	2:0
29.05.58	ბრიუსელი	რეალი (ესპანეთი) — მილანი (იტალია)	3:2
03.06.59	შტუტგარტი	რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი)	2:0
18.05.60	გლაზგო	რეალი (ესპანეთი) — აინტრახტი (გფრ)	7:3
31.05.61	ბერნი	ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი)	3:2
02.05.62	ამსტერდამი	ბენფიკა (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი)	5:3
22.05.63	ლონდონი	მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	2:1
27.05.64	ვენა	ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი)	3:1
27.05.65	მილანი	ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	1:0
11.05.66	ბრიუსელი	რეალი (ესპანეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)	2:1
25.05.67	ლისაბონი	სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (იტალია)	2:1
29.05.68	ლონდონი	მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბენფიკა (პორტუგალია)	4:1
28.05.69	მადრიდი	მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია)	4:1
06.05.70	მილანი	ფეიენოორდი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	2:0
02.06.71	ლონდონი	აიაქსი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	2:0
31.05.72	როტერდამი	აიაქსი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია)	2:0
30.05.73	ბელგრადი	აიაქსი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
15.05.74	ბრიუსელი	ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი)	1:1
17.05.74	ბრიუსელი	ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი)	4:0
			გადათამაშება
28.05.75	პარიზი	ბაიერნი (გფრ) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)	2:0
12.05.76	გლაზგო	ბაიერნი (გფრ) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი)	1:0
25.05.77	რომი	ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ)	3:1
10.05.78	ლონდონი	ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია)	1:0
30.05.79	მიუნხენი	ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი)	1:0
28.05.80	მადრიდი	ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — ჰამბურგი (გფრ)	1:0
27.05.81	პარიზი	ლივერპული (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი)	1:0
26.05.82	როტერდამი	ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაიერნი (გფრ)	1:0
25.05.83	ათენი	ჰამბურგი (გფრ) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
30.05.84	რომი	ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია)	1:1 (პენ. 4:2)
29.05.85	ბრიუსელი	იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი)	1:0
07.05.86	სევილია	სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)	0:0 (პენ. 2:0)
27.05.87	ვენა	პორტუ (პორტუგალია) — ბაიერნი (გფრ)	2:1
25.05.88	შტუტგარტი	პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია)	0:0 (პენ. 6:5)
25.05.89	ბარსელონა	მილანი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი)	4:0
23.05.90	ვენა	მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)	1:0
29.05.91	ბარი	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მარსელი (საფრანგეთი)	0:0 (პენ. 5:3)
20.05.92	ლონდონი	ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია)	1:0 დ.დ. (0:0)
26.05.93	მიუნხენი	მარსელი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია)	1:0
18.05.94	ათენი	მილანი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი)	4:0
24.05.95	ვენა	აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია)	1:0
23.05.96	რომი	იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია)	1:1 (პენ. 4:2)
28.05.97	მიუნხენი	ბორუსია (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია)	3:1
20.05.98	ამსტერდამი	რეალი (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია)	1:0
26.05.99	ბარსელონა	მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია)	2:1
24.05.00	პარიზი	რეალი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი)	3:0
23.05.01	მილანი	ბაიერნი (გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი)	1:1 (პენ. 4:2)
24.05.02	გლაგზო	რეალი (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გერმანია)	2:1
28.05.03	მანჩესტერი	მილანი (იტალია) — იუვენტუსი (იტალია)	0:0 (პენ. 3:2)
26.05.04	გელზენკირხენი	პორტუ (პორტუგალია) — მონაკო (საფრანგეთი)	3:0

შენიშვნა: 1992 წლიდან ჩემპიონთა თასი შეიცვალა ჩემპიონთა ლიგით

ევრო-2004 . A ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი

შანტაჟი და თაღლითობა ათენში

ნიკოლაიდისის პროექტი ცარტასმა ჩააგდო

აგვისტოში ათენი ოლიმპიადას უმასპინძლებს, საბერძნეთის ნაკრების სპორტული ზაფხული კი ივნისში, ევროპის ჩემპიონატზე დაიწყება, როცა ელინები გახსნის მატჩში პორტუგალიას შეხვდებიან

ვასო ხუციშვილი



ათი წლის წინ ამერიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბერძნებმა ძალიან ცუდად ითამაშეს, სამივე მატჩი წააგეს და ერთი გოლიც კი ვერ გაიტანეს. მიუხედავად ამისა, ისტორიაში მაინც შევიდნენ, რაკი დიეგო მარადონამ თავისი ბოლო სამუნდიალო გოლი სწორედ ბერძენთა კარში შეაგდო.

ევრო 2004-ზე ელინთა მეტოქეები მასპინძლები, ესპანელები და რუსები იქნებიან. ესპანეთთან მათი შეხვედრა განსაკუთრებული იქნება. ეს გუნდები შესარჩევ ეტაპზე ერთ ჯგუფში იყვნენ.

ბერძნებმა შესარჩევი ორი მარცხით დაიწყეს. პირენეელებთან და უკრაინასთან წააგეს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოიგეს. მათ შორის სტუმრად ინაკი საესის ესპანეთსაც სძლიეს და პირველ ადგილზე გამოიჭიმნენ.

აღსანიშნავია, რომ ელინებს აქამდე უმაღლესი დონის ტურნირზე მხოლოდ ორჯერ უთამაშიათ. 1980-ში ევროპის, ხოლო 1994-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე იყვნენ.

ერთი კვირის წინ ბერძენთა ნაკრებში კონფლიქტმა იფეთქა, რომელიც ათენის აეკ-თანაა დაკავშირებული. კლუბს ფინანსურად უჭირს და კრიზისიდან მისი გამოყვანის გეგმა აეკ-ის ყოფილმა, ამჟამად კი მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდმა დემის ნიკოლაიდისმა წარმოადგინა. ეს გეგმა ნაკრების კაპიტანმა ვასილის ცარტასმა შანტაჟად მონათლა დ ნიკოლაიდისი თაღლითობაში დაადანაშაულა. თავად ცარტასი აეკ-ის მოთამაშეა. კაპიტანს კლუბის სხვა ფეხბურთელებიც მიემხრნენ — მიხალის კაპსისი, ვასილის ლაკისი და კოსტას კაცურანისი. „ძალიან სამწუხაროა, რომ პორტუგალიაში ერთად წასვლა მოგვიწევს. ვერ წარმომიდგენია, როგორ ვითამაშებ ნიკოლაიდისის მხარდამხარ“ — თქვა ცარტასმა.

ნაკრების კაპიტანი „ატლეტიკოს“ ფორვარდის გეგმამ გაახელა. საქმე ისაა, რომ ნიკოლაიდისს, აეკ-ის გადარჩენის გზად ფეხბურთელებისთვის ჯამაგირის შემცირდება მიუჩნევია.

ოტო რეჰაგელი კონფლიქტის დროს ათენში არ იყო, მაგრამ თანაშემწეებს დაურეკა და პრობლემების მოგვარება უბრძანა.

შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე კი გავიდნენ, მაგრამ თვალშისაცემია ერთი ფაქტი: ბერძნებმა რვა მატჩში მხოლოდ რვა გოლი გაიტანეს და ეს მათი შეტევის სიძლიერეზე არ მეტყველებს, თუმც დაცვაში კარგად გამოიყურებოდნენ. მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისმა კი 540 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვა და სანაკრებო რეკორდი დაამყარა.

დიდი ხმაური ახლდა საბერძნეთის ნაკრების გამარჯვებას ერევანში (1:0). მასპინძელთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აირაპეტიანმა თქვა, სომხეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ერვანდ სუკიასინი ბერძნების სახელით მატჩის დათმობაზე მელაპარაკა, სანაცვლოდ ერთ მილიონ დოლარს მთავაზობდაო.

ეს ამბავი, ცხადია, აირაპეტიანის ბერძენმა კოლეგამ გაიგო და სომხებს დაემუქრა, ცილისწამებისთვის საკადრისად დაგსჯითო. ამ საქმეს გაგრძელება არ მოჰყოლია და ელინებს სამი ქულა შერჩათ.



ესპანეთი 0:1 საბერძნეთი. ბერძნებმა ამ გამარჯვებით ჯგუფის პირველადგილოსნობა გაინაღდეს

გზა პორტუგალიისკენ

VI შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002 ---------- საბერძნეთი 0:2 ესპანეთი
12.10.2002 ---------- უკრაინა 2:0 საბერძნეთი
16.10.2002 ---------- საბერძნეთი 2:0 სომხეთი
02.04.2003 ------- ჩრდ. ირლანდია 0:2 საბერძნეთი
07.06.2003 ---------- ესპანეთი 0:1 საბერძნეთი
11.06.2003 ---------- საბერძნეთი 1:0 უკრაინა
06.09.2003 ---------- სომხეთი 0:1 საბერძნეთი
11.10.2003 ------- საბერძნეთი 1:0 ჩრდ. ირლანდია

საბოლოო ცხრილი

საბერძნეთი	8	6	0	2	8:4	18
ესპანეთი	8	5	2	1	16:4	17
უკრაინა	8	2	4	2	11:10	10
სომხეთი	8	2	1	5	7:16	7
ჩრდ. ირლანდია	8	0	3	5	0:8	3

განრიგი

12 ივნისი
პორტუ. „დრაგაუ“. 21.00
პორტუგალია – საბერძნეთი
16 ივნისი
პორტუ. „ბესა“. 21.00
საბერძნეთი – ესპანეთი
20 ივნისი
ფარუ. „ალგარვე“. 23.45
რუსეთი – საბერძნეთი

მეკარეები

ანტონის ნიკოპოლიდისი პანათინაიკოსი, ათენი
კოსტას ხალკიასი --------- პანათინაიკოსი, ათენი
ფანის კატერიანაკისი ---- ოლიმპიაკოსი, პირეოსი

მცველები

ტრაიანოს დელასი ------ რომა, იტალია
იანის გუმასი ---------- პანათინაიკოსი, ათენი
იურკას სეიტარიდისი -- პანათინაიკოსი, ათენი
ტაკის ფისასი ---------- ბენფიკა, პორტუგალია
ნიკოს დაბიზასი ---------- ლესტერი, ინგლისი
სტელიოს ვენეტიდისი ---------- ოლიმპიაკოსი, პირეოსი
მიხალის კაპსისი ---------- აეკ, ათენი

ნახევარმცველები

კოსტას კაცურანისი ---- აეკ, ათენი
ანგელოს ბასინასი ------ პანათინაიკოსი, ათენი
თეოდორის ზაგორაკისი აეკ, ათენი
პანტელის კაფესი ------- ოლიმპიაკოსი, პირეოსი
ვასილის ლაკისი ---------- აეკ, ათენი
ვასილის ცარტასი ---------- აეკ, ათენი
გეორგიოს გეორგიადისი ---------- ოლიმპიაკოსი, პირეოსი
სტელიოს იანაკოპულოსი ---------- ბოლტონი, ინგლისი
გეორგიოს კარაგუნისი ---------- ინტერი, იტალია

თავდამსხმელები

დემის ნიკოლაიდისი ---- ატლეტიკო, ესპანეთი
ანგელოს ხარისტიასი -- ვერდერი, გერმანია
ზისის ვრიზასი ---------- ფიორენტინა, იტალია
დიმიტრიოს პაპადოპულოსი --- პანათინაიკოსი, ათენი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

ევრო-2004 . A ჯგუფი: პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, საბერძნეთი



საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ „მეფე ოტოსთან“ კონტრაქტი 2001 წლის აგვისტოში გააფორმა. მას შემდეგ ელინებმა 25 მატჩი გამართეს, 14 მოიგეს, 5 წააგეს და 6 ფრედ დაასრულეს. ეს მხოლოდ რიცხვების რახარუხია, მთავარი კი ისაა, რომ გერმანელმა მწვრთნელმა ბერძნებს 24 წლის შემდეგ კვლავ მოუტანა ევროპის ჩემპიონატის საგზური

დისციპლინა!

მეფე ოტოს მაგიური სიტყვა

თავის კარიერაში ოტო რეჰაგელმა ორი შესანიშნავი გუნდი შექმნა. პირველი იყო ბრემენის „ვერდერი“, მეორე კი „კაიზერსლაუტერნი“. „მეფე ოტომ“ „კაიზერი“ მეორე ბუნდესლიგიდან პირველში გადაიყვანა და იმავე წელს ჩემპიონი გახადა.

საბოლოოდ გუნდში საქმეები აეწეწა და დაითხოვეს, თუმც ბერძნები დაუკავშირდნენ და ნაკრების ჩაბარება შესთავაზეს.

მეორე ოფიციალურ მატჩში ფინეთთან, რეჰაგელის თავკაცობით ელინები 1:5 დამარცხდნენ, მაგრამ გერმანელმა გუნდში ვითარება მალევე გამოასწორა. 2003 წელს ბერძნებმა ათი მატჩი გამართეს და არ დამარცხებულან.

„მეფე ოტომ“ ნაკრებში დისციპლინა დაამყარა. „დისციპლინა — მაგიური სიტყვაა, ახლა სერიოზული გამოცდა გველის“—განაცხადა რეჰაგელმა ორი დღის წინ, გუნდის შვეიცარიაში გამგზავრებამდე. „მსურს, რომ ხელი არავინ შეგვიშალოს. ნაყოფიერად უნდა ვივარჯიშოთ და პორტუგალიისთვის სათანადოდ მოვემზადოთ“ — დასძინა მან. გერმანელმა მწვრთნელმა ზიკოსს და სტოლციდისს არ უხმო, ისინი დანარჩენებზე სუსტად გამოიყურებიანო. „მე საუკეთესოები ავარჩიე, ისინი, ვინც შესარჩევ მატჩებში ოფლი ღვარა და ევრო 2004-ზე გამგზავრება დაიმსახურა“— აღნიშნა „მეფე ოტომ“.

რეჰაგელმა ნაკრებში მისვლის დღიდან დაცვის „შენება“ დაიწყო და შედეგსაც მიაღწია. რვა შესარჩევ მატჩში გუნდმა მხოლოდ ოთხი გოლი გაუშვა.

გერმანელი მწვრთნელის ტაქტიკური სქემა 5-3-2-ია, გამართული დაცვა და სწრაფი კონტრშეტევები. „ბერძენი ფეხბურთელები ნიჭიერები არიან, მაგრამ დისციპლინა აკლიათ. თუ მოინდომებენ, პორტუგალიაში არ შერცხვებიან“ — თქვა „მეფე ოტომ“, რომელსაც საბერძნეთში ცხოვრება გაუტკბა. როცა ბერძნებმა ევრო 2004-ის საგზური მოიპოვეს, რეჰაგელმა ელინთა ჰიმნიც კი იმღერა. „ფედერაციასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, კონტრაქტის პირობებითაც კმაყოფილი ვარ. ჩემს ცოლს აქაურობა მოსწონს და ფეხბურთელებთან მუშაობაც სასიამოვნოა. ვინ იცის, ეგებ 2006 წლამდეც დავრჩე“ — აღნიშნა საბერძნეთით მოხიბლულმა გერმანელმა.

სირტაკი ჰარისთვის

ბუნდესლიგის ჩემპიონი ბრემენში ძალიან უყვართ. ანგელოს ხარისტეასის ყოველი გოლის შემდეგ „ვეზერშტადიონზე“ სირტაკის მელოდია ულერს. „ვერდერის“ ფორვარდი თავადაც შესანიშნავად უკრავს, მღერის და, რაღა თქმა უნდა, ცეკვავს კიდეც.

სამხიარულო კი ნაღდად აქვს.

სალონიკის „არისის“ ყოფილი ფეხბურთელის სანაკრებო დებიუტი 2001 წლის თებერვალში შედგა. ბერძნებმა რუსებს უმასპინძლეს. მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში ელინები 2:0-ს იგებდნენ. ორივე გოლი ხარისტეასმა შეაგდო. მისი ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩათ და 2002 წელს ბრემენის „ვერდერში“ გადავიდა. „ჩვენ გვყავს ბუნდესლიგაში, ესპანეთსა და იტალიაში მოთამაშე შვიდი ფეხბურთელი — თქვა ხარისტეასმა, რომელსაც მეტსახელად ჰარი შეარქვეს — უძლიერეს ევროპულ ლიგებში დაგროვილი გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს. გაგვიმართლა, რომ სამი წლის წინ მწვრთნელად ოტო რეჰაგელი დაგვინიშნეს. მან თავისი საქმე ფრიადზე იცის და კარიერაში არაერთი ჯილდო მოუგია. მთავარი კი ისაა, რომ „მეფე ოტოს“ გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვს და ჩვენც წარმატებას მიგვაჩნია“.

ხარისტეასმა რეჰაგელის მისვლის დღიდან მომხდარ ცვლილებაზეც ილაპარაკა: „ჯერ დაცვას მივხედოთ და ვეცადოთ, გოლი არ გავუშვათ, შემდეგ კი შეტევაზე ვიფიქროთ — გვითხრა მწვრთნელმა წინასწარმეტყველივით — მართლაც, ამ ტაქტიკით მიჯრით ექვსი მატჩი მოვიგეთ“.

ბრემენელს ნაკლებად აღელვებს, რომ მათ ექსტრაკლასის ფორვარდები არ ჰყავთ. „შევჩენკოს და რაულის დონის მეგოლეებით ვერ დავიტრაბახებთ, მაგრამ კარგად შეთამაშებული და დაბალანსებული გუნდით — კი. რეჰაგელი ყოველი მატჩის წინ შესაბამის ტაქტიკას ირჩევს“.

„ჰარიმ“ ესპანეთთან სტუმრად გამარჯვება გაიხსენა: „შეხვედრის წინ მუხლები არ გვიკანკალებდა, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ურთულესი მატჩი გველოდა. მასპინძლებს თანაბრად ვეთამაშეთ, თუმც ესპანეთის დარ გუნდთან მოსაგებად იღბალიც საჭიროა, რომელიც იმ დღეს ჩვენს მხარეს იყო.

ანგელოს ხარისტეასი

ხარისტეასი ელინთა შანსებს ასე აფასებს: „ჯგუფში ძალიან ძლიერი მეტოქეები გეყავს, მაგრამ არც საბერძნეთია ჯაბანი. ყოველ მატჩში თავიდან ბოლომდე ბრძოლა გვმართებს. თუ ისევე გულიანად ვითამაშებთ, როგორ შესარჩევ ეტაპზე, ვიმედოვნებ, რომ მეოთხედფინალში გავალთ“.

იანაკოპულოსი ტურიზმის წინააღმდეგ

30 წლის სტელიოს იანაკოპულოსი ბერძენ გულშემატკივრებს განსაკუთრებულად უყვართ. სარაგოსაში, ესპანეთთან გამართულ შესარჩევ მატჩში, მან დაახლოებით 20 მეტრიდან კოხტა გოლი გაიტანა და თავის გუნდის მარაგი სამი ქულით გაამდიდრა.



სტელიოს იანაკოპულოსი

იანაკოპულოსი „ოლიმპიაკოსის“ გიჟმაჯი ფანების ჯილა იყო. ამ გუნდის შემადგენლობაში იგი ზედიზედ შვიდჯერ ჩემპიონი გახდა. შარშან, ოქროს მეშვიდედ დაუფლების შემდეგ, „ბოლტონში“ გადავიდა და იქაურ ქომაგებსაც თავი შეაყვარა.

„სტელიოსი საჯარიმოში კარგი თამაშით გამოირჩევა — აღნიშნა „ბოლტონის“ მწვრთნელმა სემ ალარდაისმა — მისი შეტევები შედეგიანად სრულდება.“

ბერძენ ფეხბურთელს არ სურს, რომ მისი ნაკრები კვლავ ტურისტად ჩავიდეს პორტუგალიაში, როგორც 1980 წლის ევროპისა და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოხდა. „ჩვენ გვყავს გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც ევროპის საუკეთესო ლიგებში თამაშობენ. მათ თვალებში შიშს ვერ ნახავთ — თქვა იანაკოპულოსმა და იქვე იწინასწარმეტყველა — ძალიან ძლიერი გუნდები შეიყარნენ პორტუგალიაში და მძიმე მატჩები გველის, მაგრამ საბერძნეთს იოლად ვერავინ დაჩაგრავს“.

ნახევარ ფასში გაყიდული ყაზახი

დიმიტრიოს პაპადოპულოსი

დიმიტრიოს პაპადოპულოსი ერთი წლის წინ უგუნდოდ იყო. ინგლისის პირველი დივიზიონის „ბარლნიდან“ გაუშვეს, რადგან ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. „ბარნლიმ“ ბერძენი ფორვარდი „აკრატიტოსიდან“ 700 ათას ევროდ შეიძინა და ერთწლიანი უსაქმობის შემდეგ „პანათინაიკოსს“ 350 ათასად დაუთმო.

„მწვანეების“ ფანებს ეს ტრანსფერი არ ეამათ. ინგლისის პირველ დივიზიონში თუ ვერ ითამაშა, ჩვენ რას გვარგებსო.

მაგრამ 22 წლის დიმიტრიოს პაპადოპულოსს „პანათინაიკოსში“ ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. გუნდმა შვიდწლიანი უიღბლო სერია შეწყვიტა და ჩემპიონი გახდა, ფორვარდმა კი 17 გოლი გაიტანა, მიუხედავად იმისა, რომ ორი თვე ტრავმების გამო არ უთამაშია. იგი ბომბარდირებში მეორე ადგილზე გავიდა. და კიდევ, პაპადოპულოსი ყაზახეთშია დაბადებული.

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი						
		29 მაისი						
19.00	002	ვესტ ჰემი-კრისტალ პალასი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი						
		30 მაისი						
19.00	003	ბრისტოლი-ბრაიტონი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი						
		31 მაისი						
19.00	004	მენსფილდი-პადერსფილდი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIII ტური.						
		29 მაისი						
17.30	018	შვაინფურტი-ფოიხტი	1,75	3,3	3,8	1,14	1,19	1,76
17.30	019	ელვერსბერგი-ეშბორნი	1,5	4,0	4,0	1,09	1,09	2
17.30	020	აუგსბურგი-იფენბახი	1,1	4,6	7,5	1	1	2,85
17.30	021	ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი(მ)	1,45	4,0	4,4	1,06	1,09	2,09
17.30	022	ფულენდორფი-კიცერსი	2,0	3,2	3,0	1,23	1,2	1,54
17.30	023	შტუტგარტი(მ)-ხოგენი	1,7	3,5	3,3	1,14	1,12	1,69
17.30	024	მაინცი(მ)-ბაიერნი(მ)	2,5	3,2	2,25	1,4	1,18	1,32
17.30	025	ვეენი-აალენი	1,3	4,0	6,0	1	1,06	2,4
17.30	026	ერფურტი-ზაარბრიუკენი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		იტალია. სერია C1/A. პლეი-ოფი						
		30 მაისი						
19.30	043	ლუკჩეზე-ლუმეცანე	2,1	2,6	3,8	1,16	1,35	1,54
19.30	044	რიმინი-ნეზენა	2,15	2,5	3,8	1,15	1,37	1,5
		იტალია. სერია C1/A. პლეი-აუტი						
		30 მაისი						
19.30	045	პრატო-პრო პატრია	2,25	2,5	3,8	1,18	1,41	1,5
19.30	046	ვარეზე-რეჯანა	2,1	2,5	4,0	1,14	1,37	1,53
		იტალია. სერია C1/B. პლეი-ოფი						
		30 მაისი						
19.30	047	ბენევენტო-კროტონე	2,2	2,6	3,5	1,19	1,35	1,49
19.30	048	ფორლელე-ვატერბეზე	2,1	2,5	4,0	1,14	1,37	1,53
		იტალია. სერია C1/B. პლეი-აუტი						
		30 მაისი						
19.30	049	ტარანტო-ფერმანა	2,0	2,6	4,2	1,13	1,35	1,6
19.30	050	პატერნო-პესარო	2,1	2,5	4,0	1,14	1,37	1,53
		ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIX ტური						
		29 მაისი						
21.30	055	ალავესი-ლეგანესი	1,55	3,0	6,0	1,02	1,23	2
21.30	057	მალაგა ბ-სიუადადი	2,3	2,5	3,4	1,19	1,37	1,44
22.00	058	სპორტინგი-ტენერიფე	1,5	3,1	6,5	1,01	1,21	2,09
		30 მაისი						
15.00	059	ხეტაფე-ნუმანსია	2,2	2,7	3,4	1,21	1,33	1,5
22.00	056	კორდობა-ტერასა	2,0	2,8	3,6	1,16	1,28	1,57
22.00	060	სალამანკა-ეხიდო	2,0	2,7	3,8	1,14	1,31	1,57
22.00	061	ალხესირასი-ელჩე	3,3	2,7	2,0	1,48	1,24	1,14
22.00	062	კადისი-ლევანტე	2,8	2,7	2,5	1,37	1,32	1,29
22.00	063	ვალვა-რაიო	1,7	3,4	3,4	1,13	1,13	1,7
22.00	064	ალმერია-ეიბარი	1,9	2,9	3,6	1,14	1,24	1,6
23.00	065	ლას პალმასი-სერესი	1,5	2,9	3,6	1	1,05	1,6
		ჰოლანდია. პლეი-ოფი						
		28 მაისი						
23.00	072	გრაფსხაპი-პერეკლესი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
23.00	073	ვოლენდამი-ექსელსიორი	3,2	3,4	1,8	1,64	1,15	1,17
23.00	074	სპარტა-ვენლო	1,55	3,5	5,0	1,07	1,18	2,05
23.00	075	ვიტესი-ჰელმონდი	1,3	4,2	7,5	1	1,1	2,69
		დანია. სუპერლიგა. XXXIII ტური						
		29 მაისი						
18.00	085	ოლბორგი-მიდტიულანდი	1,85	3,4	3,5	1,19	1,21	1,72
18.00	086	ბრონდბიუ-ვაიდენსკი	1,12	6,0	14,0	1	1,03	4,19
18.00	087	ესბიერგი-ფრემი	1,4	4,2	6,5	1,04	1,15	2,55
18.00	088	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	6,5	4,2	1,4	2,55	1,15	1,04
18.00	089	ოდენსე-ბერფიოლგე	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
18.00	090	ორპუსი-ვიბორგი	2,0	3,4	3,2	1,25	1,23	1,64
		დანია. I დივიზიონი. XXVII ტური						
		30 მაისი						
16.00	093	ფრემადი-რანდერსი	4,0	3,8	1,65	1,94	1,16	1,15
		31 მაისი						
16.00	094	იოლსტიკე-ფრედერისია	1,8	3,5	3,4	1,18	1,17	1,72
16.00	095	ბ 93-ბ 1913	1,35	4,4	5,0	1,03	1,06	2,34
18.00	096	სიონდერიულანდი-კიოგე	1,9	3,4	3,3	1,21	1,2	1,67
18.00	097	პორსენსი-სილკებორგი	3,5	3,5	1,75	1,75	1,16	1,16
18.00	098	ნიკობინგი-ვეილე	1,7	4,0	3,0	1,19	1,08	1,71
18.00	099	ფკ ორჰუსი-სკიოლდი	2,0	3,6	2,4	1,28	1,09	1,44
18.00	100	ბრიონსპიონი-ნორდიულანდი	2,0	3,5	2,7	1,27	1,14	1,52
		შვედეთი. სუპერეტა. VII ტური						
		31 მაისი						
19.00	111	ბოდენსი-პეკენი	3,3	3,3	1,95	1,65	1,22	1,22
21.00	112	ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი	1,3	4,4	7,5	1	1,1	2,77
21.00	113	ასირისკა-ენჩიოპინგი	1,9	3,4	3,3	1,21	1,2	1,67
21.00	114	ატვიდაბერგი-ფრისკა	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
21.00	115	ბრაგე-ბრომაპოიკარნა	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
21.00	116	გეფლე-იოსტერსი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
21.10	117	გაის-ფრიიოლუნდა	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
		ნორვეგია. ტიპელიგა. IX ტური						
		31 მაისი						
21.00	121	ტრომსიო-ვოლერენგა	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
21.00	122	პამარი-ლილესტრიომი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
21.00	123	სტაბეკი-ვიკინგი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
21.00	124	ბოდიო გლიმტი-ფრედრიკსტადი	1,5	3,8	5,6	1,07	1,18	2,26
21.00	125	ლინი-ბრანი	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
23.05	126	ხოგდალი-რუსენბორგი	5,0	3,8	1,55	2,15	1,18	1,1
		ნორვეგია. I დივიზიონი. IX ტური						
		31 მაისი						
21.00	129	ალესუნდი-ვარდ პუგესუნდი	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
21.00	130	პუგესუნდი-რაუფოსი	1,7	3,8	3,6	1,17	1,15	1,84
21.00	131	პიონეფოსი-ბრინი	2,25	2,6	2,45	1,2	1,17	1,26
21.00	132	კონგსვინგერი-სანდეფიორდი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
21.00	133	მოსი-სტარტი	2,5	3,6	2,2	1,47	1,17	1,36
21.00	134	პორს გრენლანდი-მანდალი	3,0	3,6	1,95	1,63	1,18	1,26
21.00	135	სკედი-ტრომსდალენი	1,45	4,0	5,6	1,06	1,15	2,33
21.00	136	სტრიომსგოდსეტი-ჰიოდი	1,55	4,0	4,6	1,11	1,15	2,13
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. VI ტური						
		30 მაისი						
20.30	144	ჰაკა-ჰაამეენლინა	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
20.30	146	ინტერი-ჰიკ	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
20.30	147	კტპ-ტურკუ	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
20.30	148	ვეზი-ლაპტი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
20.30	149	ტამპერე-რიოვანიემი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. III ტური						
		28 მაისი						
00.15	157	პარფნარფიორდური-კეფლავიკი	1,95	3,1	3,4	1,19	1,23	1,62
		ირლანდია. პრემიერლიგა. XIII ტური						
		28 მაისი						
23.30	163	უოტერფორდი-კორკი	2,3	3,0	2,9	1,3	1,28	1,47
23.45	164	შელბურნი-ბოჰემიანი	1,85	3,1	3,8	1,15	1,24	1,7
23.45	165	სტ.პატრიკსი-დუბლინი	1,8	3,1	4,0	1,13	1,24	1,74
		29 მაისი						
23.30	166	დერი-დროგედა	2,35	3,0	2,9	1,31	1,29	1,47
23.30	167	ლონგფორდი-შემროკი	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
		უკრაინა. პრემიერლიგა. XXVII ტური						
		29 მაისი						
16.00	171	მეტალურგი-ჩერნომორეცი	1,65	3,2	5,0	1,08	1,24	1,95
16.00	173	დინამო-კრივბასი	1,05	6,0	12,0	1	1	4
		პოლონეთი. I ლიგა. XXVI ტური						
		30 მაისი						
22.00	192	ოდრა-პლოცკი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44
		ბრაზილია. სერია A. VIII ტური						
		29 მაისი						
24.00	202	ფლუმინენსე-კრეიუმა	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
24.00	203	პონტე პრეტა-ჟუვენტუდი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
24.00	204	ფიგეირენსე-პაისანდუ	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
02.00	205	პალმეირასი-კურიტიბა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
02.00	206	ვიტორია-ინტერნასიონალი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
		30 მაისი						
24.00	207	სან პაულუ-კორინთიანსი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
24.00	208	ვასკუ და გამა-ბოტაფოგო	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
24.00	209	გოიასი-ფლამენგო	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
24.00	210	გუარანი-პარანა	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
24.00	211	ატლეტიკო ენ-სანტოსი	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
02.00	212	ატლეტიკო პრ-კრუზეირო	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
02.00	213	გრემიო-სან კეტანო	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
		არგენტინა. კლაუსურა. XVI ტური						
		28 მაისი						
02.30	216	ველესი-ოლიმპო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
04.00	222	როსარიო-კოლონი	2,3	3,1	3,8	1,32	1,43	1,7
05.10	217	ლანუსი-ინდეპენდიენტე	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		29 მაისი						
23.10	218	რასინგი-რივერ პლეიტი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
23.30	219	ატლეტიკო-ესტუდიანტესი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
23.30	220	ჩაკარიტა-კილმესი	3,1	3,2	2,1	1,57	1,25	1,26
23.30	221	ნუევა ჩიკაგო-ბანფილდი	2,5	3,1	2,45	1,38	1,23	1,36
23.30	223	ტალიერესი-ნიუელმი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
01.35	224	ბოკა ხუნიორსი-არსენალი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
03.45	225	ხიმნასია-სან ლორენსი	2,45	3,1	2,5	1,36	1,23	1,38
		ურუგვაი. პრიმერა. XIII ტური						
		28 მაისი						
04.15	234	რენტისტასი-ფენიქსი	2,25	3,2	2,8	1,24	1,24	1,4
		29 მაისი						
23.30	231	დანუბიო-ლი

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI

10 42 00 24 +%

ფორმულა 1. მონაკო. 22 მაისი

8001 გამარჯვებული	8201 ექვსეული	8301 უსვრ. წრე
მ.შუმახერი 1,4	1,06 1,03	1,35
ბარიჩელო 7,0	1,7 1,1	5,0
მონტოია 8,0	1,8 1,15	5,0
რ.შუმახერი 18,0	4,0 1,25	12,0
კულტჰარდი 40,0	9,0 1,5	25,0
რაიკონენი 25,0	6,0 1,35	15,0
ტრული 12,0	3,0 1,2	9,0
ალონსო 11,0	2,4 1,15	7,0
ბატონი 6,0	1,6 1,1	5,0
სატო 30,0	6,0 1,35	20,0
ფიზიჩელა 100,0	25,0 3,5	40,0
მასა 150,0	30,0 4,0	50,0
უებერი 100,0	25,0 3,5	40,0
კლიენი 150,0	30,0 4,0	50,0
და მატა 150,0	30,0 4,0	50,0
პანისი 150,0	30,0 4,0	50,0
ჰაიდფელდი 250,0	50,0 7,0	75,0
პანტანო 300,0	50,0 7,0	75,0
ბრუნი 500,0	100,0 12,0	100,0
ბაუმგარტნერი 500,0	100,0 12,0	100,0

ერთიანი ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი

21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12

13 ივნისი

21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64

14 ივნისი

21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57

15 ივნისი

21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76

16 ივნისი

21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08

17 ივნისი

21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07

18 ივნისი

21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88

19 ივნისი

21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

20 ივნისი

23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

21 ივნისი

23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02

22 ივნისი

23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39

23 ივნისი

23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავშ	6401 ჯგ.ვერ.ბავშ
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.I ადგ.	6301 ჯგ.ბავშ	6401 ჯგ.ვერ.ბავშ
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

აბა, მიცან, რომელი ვარ!

ერთი წყვილი ინტერვიუ ტყუპ ბერიშვლებთან

როცა ისინი კალათბურთს თამაშობენ, ძალიან იოლად გაარჩევ — ზურგზე სხვადასხვა ნომერი აწერიათ და ამიტომ. მათი ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანიც ესაა. სხვანაირად მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელია, ერთი ზომისა არიან, ერთნაირად თამაშობენ და საერთოდ ერთნი არიან. ტყუპებზე მოგახსენებთ, დათო და ირაკლი ბერიშვილებზე, რომლებიც ვერის ბაღის იატაკიდან მხოლოდ 178 სანტიმეტრს აიზომებიან, მაგრამ ორმეტრიანი ჯეელების გარემოცვაში თავს ნაღდად არ გრძნობენ პატარებად. პირიქით როცა ერთად არიან მოედანზე, მათი გაჩერება ყოველთვის ჭირს და ამ ორიოდ დღის წინ ეროვნული ჩემპიონატის ფინალში „ბასკოს“ „დინამოს“ დამარცხებაში დაეხმარნენ. თავისთავად მათ ერთი ინტერვიუ ჩამოვართვით

— არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ უფროსი რომელი ხართ?

დათო: რამდენიმე წუთით მე ვარ უფროსი.

— კალათბურთზე საკმაოდ დაგვიანებით დაიწყეთ სიარული...

ირაკლი: ჰო, 6-დან 14 წლამდე ვცეკვავდით. სუხიშვილების ანსამბლში ვიყავით, რომ იტყვიან, მსოფლიო შემოვიარეთ, მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. სიმართლე გითხრა, ცეკვაზე არ ვგიჟდებოდი, მონდომებით კი ვვარჯიშობდი, მაგრამ გული სპორტისკენ მიმიწევდა. ერთხელ ოპერაცია გავიკეთე და სარეაბილიტაციო პერიოდში საკალათბურო მატჩზე წავედით, სადაც დედაჩემი და ბიძაჩემი ერთ ახლობელ მწვრთნელს შეხვდნენ. შანსი გაგვიჩნდა და ჩვენც დაუფიქრებლად შევედით კალათბურთზე.

— ცეკვაზე ნავარჯიშევებმა ალბათ კალათბურთსაც ადვილად აუღეთ ალღო...

დათო: რა თქმა უნდა, ცეკვის ვარჯიშები ძალიან გამოგვადგა, პირველ რიგში ხტომა და კოორდინაცია. დიდი დამსახურება მიუძღვით მწვრთნელებს — ზვიად დიდბერიძეს, ვაჟა ჭოტაშვილსა და გია მიქაძეს.

ირაკლი: ერთ-ერთი მთავარი მომენტი იყო დისციპლინა, რაც ცეკვაზე სიარულის დროს 9 წელი სისხლში გვქონდა გამჯდარი. საერთოდ, მოწესრიგებული ცხოვრება ნებისმიერ საქმეში გეხმარება და ცხადია, კალათბურთშიც გამოგვადგა.

— სამქულიანების სროლის ნიჭი თავიდანვე აღმოგაჩნდათ?

დათო: თავიდან ძალა არ გვყოფნიდა და სამქულიანებს ვერ ვესროდით. დღეს კარგ მსროლელებად რომ ვითვლებით, გია მიქაძის დამსახურებაა, რომელმაც გამართული სროლა გვასწავლა. როცა ძალა არ გყოფნის და მაინც ესვრი, ხელი გიფუჭდება. ჩვენც თავიდან ვითმენდით და მერე თანდათან გადავედით სამქულიანების სროლაზე. არის კიდევ მრავალი ნიუანსი, რომელიც აუცილებელია ზუსტი სროლისთვის. გია მიქაძემ ჩვენ ნახტომში სროლა გვასწავლა. სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონატში დღეს ბევრი მოთამაშე ისვრის არასწორად.

— ამბობენ, როცა ტყუპები ერთად არიან მოედანზე, მაშინ უფრო სახიფათონი ხდებიანო...

ირაკლი: ეგ თავისთავად. დათოსთან ერთად რომ ვარ მოედანზე, ჩემი თავისაც მეიმედება და ჩემი ძმისაც. თითქოს ორმაგად დამშვიდებული ვარ, უფრო ლაღად და აზარტით ვთამაშობ.

— იმასაც ამბობენ, ტყუპები პასებს სულ ერთმანეთს აწვდიან, იშვიათად თუ ვინმე დაინახონო...

დათო: ეგ ტყუილია. უბრალოდ, გარედან ჩანს ეგრე, თითქოს სხვებზე მეტად ერთმანეთს ვაძლევდეთ პასებს. ირაკლის თუ ერთ პასს მივაწვდი, ის უფრო ხვდება თვალს, ვიდრე, ვთქვათ, ბუბა ბერიშვილს ორი რომ გადავაწოდო.

ირაკლი: ისე კი, თუ ორი თანაბარი ვარიანტია, პასს დათოს მივაწვდი, ეს ჩემგან დამოუკიდებლად, ბუნებრივად ხდება.

— ტყუპები ერთმანეთის ტკივილს განიცდიან და ცალ-ცალკე ყოფნა უჭირთო. თქვენც ასე ხართ?

დათო: ეს ისეთი გრძნობაა, სიტყვებით ვერ გადმოსცემ, ჩვენ ერთმანეთს თვალდახუჭულები ვუგებთ, მაგრამ რატომ ხდება ასე, ვერაფრით ავხსნი. წინა სეზონში „ბასკოში“ მხოლოდ მე ვთამაშობდი, ირაკლი „მაკაბიში“ იყო და ძალიან გამიჭირდა ბათუმში მარტო ყოფნა.

ირაკლი: ამ ბოლო დროს ალბათ იმიტომაც მოვუმატეთ თამაშს, რომ „ბასკოში“ არცთუ ხშირად გვიწევდა ერთდროულად მოედანზე ყოფნა. ერთად თამაშს დანატრებულები როცა ნუგზარ კანდელაკმა მოედანზე გაგვიყვანა, ხომ ნახეთ, რაც მოხდა...

— ცალ-ცალკე თუ გყავთ მეგობრები?

ირაკლი: ვინც ნაღდი მეგობარია, ის ორივესთვისაა. ცალკე ძმაკაცები არ გვყავს.

— ხშირად ერთნაირი ტანისამოსი გაცვიათ, ზოგ ტყუპს არ მოსწონს ასეთი რამ...

დათო: ახლა აღარც ჩვენ გვაცვია ერთნაირად. ბავშვობაში მშობლები ყველაფერს წყვილად ყიდულობდნენ. ახლა ერთი გარდერობი გვაქვს, სადაც თითო ნაირსახეობის ტანისამოსი კიდია და ვისაც რა გვინდა, იმას ჩავიცვამთ. მხოლოდ ფეხსაცმელი არ გვაქვს საერთო.

— გემოვნებაც ერთნაირი გაქვთ?

ირაკლი: გემოვნება კი, მაგრამ განსხვავება რაოდენობაშია. დათო უფრო ბევრს ჭამს და ჩემზე სამი კილოთი მძიმეა.

— ხასიათით დათო უფრო ფიცხი ჩანს...

ირაკლი: ეგრეა, დათო უფრო კომუნიკაბელურია და შესაბამისად ხშირადაც ნერვიულობს.

ბაღრი კეთილაძის ფოტო

— სამაგიეროდ, გარეგნულად ხართ ძნელად გასარჩევი. კურიოზებიც შეგემთხვევოდათ...

დათო: რამდენიც ვინდა ყოველ ფეხბურთაბიჯზე კურიოზი არ გვხვდებოდა, გეგონები რომ ერთთანა ინტერვიუ და ერთი ისეთია, ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ბოლო ხანებში ისეც მომხდარა, რომ ჩემგან აუღიათ ინტერვიუ და ირაკლი ვგონებივართ. ის კურიოზი არაა, ჩემს პასპორტში ჩემი ძმის ვიზა რომ არტყია?!

ირაკლი: ერთხელ, პატარაობისას ერთი ჩემი სკოლელი გაკვეთილზე შევაგზავნე და ქალ მასწავლებელზე აქ რომ არ ითქმის, ისეთი რაღაც ვათხოვნინე... (ეს ბიჭი გაგებაში არ იყო, რა დავაბარე, თორემ რას შეავიდოდა). ჰოდა, იმ მასწავლებელს ერთი ამბავი აუტეხია და ამ შეშინებულსაც პირდაპირ უთქვამს, მე არაფერ შუაში ვარ, ირაკლი ბერიშვილმა გამომგზავნა, იმან დამაბარაო. იმ მასწავლებელს მერე ყველგან ვემალებოდი. ერთხელაც დათოს გადაეწყდა სკოლის დერეფანში და ჩემს ნაცვლად მაგრად გამოლანძღა. ჩემი ძმა გაგებაში არ იყო, რას ერჩოდნენ, მაგრამ მერე კი მიხვდა, რომ მე მქონდა რაღაც დაშავებული.

— სულ ასე ერთად მოდიხართ აკვნიდან და ადრე თუ გვიან, ალბათ მოგიწევთ ცალ-ცალკე ცხოვრება...

დათო: ალბათ ეგრეც იქნება; ტყუპები კი ვართ და ერთად ყოფნაც კარგია, მაგრამ ცოლი, შვილი, ოჯახი რომ გვეყოლება, ცხოვრება თავისას იზამს. თუმც ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით, მერე რა, თუ ერთ სახლში არ ვიცხოვრებთ.

— ახლა კალათბურთზეც: დამსახურებულად გაიმარჯვა „ბასკომ“?

ირაკლი: რა თქმა უნდა. „ბასკომ“ რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ 3 თამაში წააგო და მთელი სეზონი ლიდერობდა. ბოლოს, როცა გაგვიჭირდა, საფრთხის წინაშე დავდექით, მაგრამ მთელი წელი შრომას ამაოდ არ ჩაუვლია — მოვინდომეთ და მოვიგეთ კიდეც.

— არსებობს აზრი, რომ საქართველოს ნაკრებს გამთამაშებლის პრობლემა აქვს...

დათო: საქართველოს ნაკრებს გამთამაშებლის ისეთივე პრობლემა აქვს, როგორც ცენტრის, თავდამსხმელის, ფრთის, მწვრთნელის და საერთოდ, ყველაფრის. უცხოელებს გამორჩეული სიმაღლის მოთამაშეები მიჰყავთ საქართველოდან, რადგან დაბლები თავადაც ბლომად ჰყავთ. ჩვენი გამთამაშებლები რომ ადრეულ ასაკში საზღვარგარეთ წაიყვანონ, არც ისინი შეირცხვენენ თავს.

ირაკლი: გამთამაშებელს 30-40 ქულის გაკეთებას არავინ სთხოვს, იმ მინიმუმს, რაც ევროპაში სათამაშოდაა საკმარისი, ქართველებიც გააკეთებენ. საერთოდ, ამ ბოლო დროს ყველა გამთამაშებლის პრობლემაზე საუბრობს, თავად მოთამაშეებიც კი. ეს არაკოლეგიალური დამოკიდებულებაა, საწყენია უბრალოდ.

— თქვენ თუ ხართ მზად ნაკრებში სათამაშოდ?

დათო: მე ერთხელ უკვე ვიყავი ნაკრების კანდიდატი ბოლო საკვალიფიკაციოზე, მაგრამ ძირითად გუნდში ვერ მოვხვდი. რა თქმა უნდა, მინდა ნაკრებში თამაში. ეს, როგორც ყველა კალათბურთელის, ჩემი ძმის და ჩემი ოცნებაცაა.

ირაკლი პერტაია

ჭადრაკი

ქართველი ნახევარფინალშია

ძაგნიძე მაიას გაეყარა და მაიას შეეყარა

ნანა ძაგნიძემ და მაია ჩიბურდანიძემ მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ერთმანეთთან მოუწევთ ჭიდილი. ერთი მხრივ საწყენია, ქართველები ერთმანეთს რომ დაეჯახებიან, თუმც, მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს და უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ ნახევარფინალში ერთი თანამემამულე გვეყოლება.

მეოთხე ეტაპზე გასასვლელად ძაგნიძეს ლომინეიშვილთან ყაიმიც ჰყოფნიდა და დებიუტში საკუთარი თავდაცვის გაძლიერებას შეუდგა. მე-10 სვლაზე მან მეორე ხაზზე კუები სნაიპერებად განალაგა და მხედრით შავების ტერიტორიაზე შეიჭრა. ლომინეიშვილი ყოჩაღად ჩაერთო იერიშებში, რამდენიმე ფიგურა გაუცვალა ძაგნიძეს, ხარიხით მოგებაში დარჩა და e ხაზზე პაიკის გაყვანა დაიწყო. ნანამ მის შესაკავებლად ეტლები იხმო და შავი მეფის სამყოფელისკენ მიმართა. „მტრის“ (მეგობრის) ტერიტორიაზე გადასროლილმა თეთრების მძიმე არტილერიამ კი დავალება პირნათლად შეასრულა, შავი ხელმწიფე უხერხულად ალაგს გაჭედა და 43-ე სვლაზე გამარჯვებისა დააქუხა.

სასურველი შედეგის მისაღწევად თითქმის ამდენიმე დრო დასჭირდა ჩიბურდანიძეს. მაიამ თავიდანვე წინ გაუშვა ძალები და ცენტრს დაეპატრონა. იაკოვა გარდატეხის შეტანას შეეცადა, სათარეშოდ პაიკები წაწია წინ და ფიგურების გაცვლები დაიწყო. ორთაბრძოლაში ქართველმა იოლად დაჩაგრა მეტოქე, საბოლოოდ კი ლაზიერით მის მეფეს დაეშუქრა და 47-ე სვლაზე პარტია ყაიმით დასრულებინა.

ლაშა გეგეჭკორი

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ელისტა. რუსეთი. 21 მაისი — 8 ივნისი

III წრე. განმეორებითი მატჩები

მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — იანა იაკოვა (ჩეხეთი) 0,5:0,5 (1:0)

ნანა ძაგნიძე (საქართველო) — მაია ლომინეიშვილი (საქართველო) 1:0 (1:0)

ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია) — ნატაშა ბოჟკოვიჩი (სერბია-ჩერნოგორია) 0,5:0,5 (1:0)

მხოლოდ ქართველთა შედეგები

2004 NBA Playoffs
კონფერენციის ფინალი

კიდევ გავისვრით!
ინდიანა ძველ ზარბაზანს ტენის

26 მაისი

აღმოსავლეთი

ინდიანა 1:2 დეტროიტი

დეტროიტი 85:78 ინდიანა

დეტროიტი: ბილაფსი (14), ჰამილტონი (20), პრინსი (5), რ. ვოლესი (17), ბ. ვოლესი (17 ქულა, 16 მოხსნა); უილიამსონი (5), ჯეიმსი (2), ჰემი (2), ოქური, ჰანტერი

ინდიანა: ტინსლი (12), მილერი (3), არტესტი (13), ონილი (24), ფოსტერი; ჰარინგტონი (13), კროშერი (6), ბენდერი (3), ჯონსონი (2), ჯონსი (2)

„ინდიანას" მწვრთნელ რიკ კარლაილს შემსრულებლები არ ჰყოფნის მისი დამწუნებელი „დეტროიტისთვის" თამაშების და ნიშნის მოსაგებად. რონ არტესტი და ჯერმენ ონილი ვერ გასწვდნენ მთელ საქმეს, სხვებს კი მეტ-ნაკლებად აკონტროლებენ დაცვაში გაწაფული დეტროიტელები (სწორედ კარლაილმა გაწაფა წინა და იმისწინა სეზონში).

„პეისერზს" დაუბერდა რეჯი მილერი. ნბა-ს ისტორიაში ყველაზე მეტი სამქულიანის ჩამგდები ოქროსხელება რეჯი ძველებურად ხშირად ვეღარ დებს სამქულიან „კვერცხებს" — ერთი გაისროლა სერიის პირველ თამაშში და „ინდიანას" ის ერთი მოგება აქვს ანგარიშზე, მომდევნო ორ შეხვედრაში კი მილერს აშკარად სჯობნის ოპონენტი რიჩარდ ჰამილტონი. იარლიყების მიწებების მოყვარულებმა მასზე უცებ თქვეს — „დეტროიტს" თავისი რეჯი მილერი ეზრდებაო. ეზრდება კი არა, უკვე გაეზარდა. ლამის თამაში არ ჩაივლის, ნიღბიანმა და მილერივით კნაჭა ჰამილტონმა ოცი ან მეტი ქულა არ მოუტანოს თავისიანებს. დაცვითი კალათბურთის ეპოქაში კი, როცა თამაშში 100 ქულის კი არა, 80-ის შეგროვება ჭირს, ჰამილტონის 20-ქულიანი გამოსვლები იქნება ჯორნადის ათი წლის წინანდელ 30-35 ქულიან თამაშებს შეედაროს.

საქმე მარტო ჰამილტონშიც არაა, „ინდიანასგან" განსხვავებით, „დეტროიტს" ხუთივე დამწყები ყოჩაღი ჰყავს და ინდიანელებმა ჯერჯერობით მხოლოდ ფრთა ტაიშონ პრინსი შეზღუდეს შეტევაში — ესეც იმიტომ, რომ პრინსს წლევანდელი სეზონის საუკეთესო დამცველი რონ არტესტი მეურვეობს. მაგრამ მხოლოდ პრინსის გაჩერება „ინდიანას" ვერ შველის.

სერიის მესამე თამაშში, რომელსაც უკვე „დეტროიტი" მასპინძლობდა, „ინდიანას" ჰამილტონთან ერთად ორივე ვოლესმაც გაუჭირვა საქმე. „პეისერზს" ერთი კარგი მეფარე ჰყავს — ჯერმენ ონილი და ეს კაცი ორად ვერ გაიჭრება. რაშიდ ვოლერი კარგი შემტევია და მისგან ქულების კეთება არავის უკვირს, მაგრამ როცა სქელშუბლა და თმებაგაბურძგნული ბენიც იწყებს ბურთების ჩაყრას, „დეტროიტის" მეტოქეებს ცერად მისდით საქმე.

„ინდიანამ" მხოლოდ მეორე მეოთხედში შეძლო მასპინძელთა აგრესიის უკუგდება — ეს 12-წუთიანი 16:9 მოუგო, მაგრამ ამას იქით თამაშს „დეტროიტი" აკონტროლებდა და სტუმარს ბოლო წამამდე მდევრად ამყოფებდა. რიკ კარლაილის ბიჭებმა ღირსეულად წაგებაღა მოახერხეს — ბოლო წუთებში ერთი მონაკვეთი 10:0 მოუგეს მასპინძლებს და 75:76 მიუახლოვდნენ, მაგრამ შემდეგ რაშიდ ვოლესმა ერთ შეტევაში 3 ქულა მოიმკა და „ინდიანას" მეორე მარცხი გამოუწერა.

ინდიანელებს ფიქრადაც არ მოსდით თეთრი ალმის გამოკიდება. „ჯერ არ დაგვიმთავრებია თამაში — ამბობს ჯერმენ ონილი — ჩვენ ბლომად გვყავს მსროლელები, რომლებიც კიდევ გაისვრიან."

მომდევნო მატჩსაც „დეტროიტი" მასპინძლობს.

კოტე ყორშია





REUTERS დეტროიტიდან

დაბერდი! რიჩარდ ჰამილტონი ამას დაუზარლად ახსენებს რეჯი მილერს

ღრიალა ჭკვიანმა შეცვალა
მემფისელი გრიზლი ფერს და იერს იცვლის

„მემფის გრიზლიზი" რამდენიმე კვირის წინ გავარდა პლეი ოფიდან, მაგრამ ბოსები ამ სეზონით მაინც კმაყოფილები არიან და აცხადებენ, კლუბის ისტორიაში ახალი ეპოქა დგებაო.

ახალი ეპოქა მაშინ დადგა, როცა „გრიზლები" შვიდი ფუჭი სეზონის (აქედან პირველ ექვსში კანადურ ქალაქ ვანკუვერის სახელით გამოდიოდნენ) შემდეგ წლეულს პირველად გავიდნენ პლეი ოფში და ჩემპიონ „სან ანტონიოს" ერთი თამაშიც მოუგეს. ამ საზეიმო განწყობის კიდევ უფრო ასამაღლებლად კლუბმა შეიცვალა ლოგო. ბრჭყალებ და კბილებდაკრეჭილი, ვეება ტორში ბურთჩაჭყლეტილი გოროზი „გრიზლი" ამიერიდან თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ექსპონატებით არცთუ გადატვირთულ საკლუბო მუზეუმში. მოთამაშეთა სპორტულ აღკაზმულობასა და დარბაზ „პირამიდის" ფიცარნაგს კი სულ სხვა „გრიზლი", უფრო ზუსტად კი მისი თავი დამშვენებს, რომელიც „მემფისის" საქმეთგამრიგე ჯერი ვესტის თქმით, გაცილებით გამომსახველობითი იერისაა (ეგაა, მთლად ნაღდი დათვის ფერი ვერაა — ლურჯია).

„მე შემიყვარდა ახალი ლოგო — ამბობს ვესტი — შემიყვარდა მისი თვალები. ამ თვალებში ძალმოსილება და მიზანმიმართულება ჩანს. მან იცის, რა უნდა, ჩვენ ყველამ ვიცით, რაც გვინდა."

„ლურჯი დათვისა" რა მოგახსენოთ და თავად ჯერი ვესტმა კი ნაღდად იცის, რა უნდა და არც ის ესწავლება, როგორ უნდა მიაღწიოს იმას, რაც უნდა. უმისოდ „მემფისში" საუბარიც ვერ იქნებოდა „ახალ ეპოქაზე". ვესტს, მგონი, საქართველოშიც არ სჭირდება ოფიციალური წარდგენა. ისიც ბევრზე მეტყველებს, რომ ეს ჭკვიანი ძია თავადაა გამოხატული სრულიად ნბა-ს ლოგოზე.

კოტე ყორშია

ძველი

ახალი



„ორლანდოს" ვიცეპრეზიდენტი პატ უილიამსი დრაფტლატარიაში გამარჯვებას ხარობს

ლატარია ორლანდოსთვის დატრიალდა

ნბა დუხჭირ ქართულ ყოფაზე მაღალ საფეხურზე დგას, მაგრამ ერთი ჩვენებური ანდაზა, რომელიც გვატყობინებს, რომ აღმართს დაღმართი მოჰყვება, ოკეანგაღმეთის ცხოვრების ციკლებსაც შეესაბამება. ვინც სუსტია, იმას მეტი შანსი აქვს, გაძლიერდეს. ასეთისთვის სხვებზე იოლია, თავიდან დაიწყოს ცხოვრება და შენება. საუბარია სუსტ და ჩავარდნილ გუნდებზე. მათთვის შანსი ყოველთვის არსებობს

„ორლანდო მეჯიქს", როგორც განვლილი რეგულარული ჩემპიონატის უსუსტეს გუნდს, ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა, დრაფტ-ლატარია მოეგო და ორიოდ კვირაში გასამართ დრაფტზე პირველი არჩევანის გაკეთების უფლება მოეპოვებინა. ნიუ ჯერსის შტატის მომცრო ქალაქ სეკაკუზში იმ 13-მა გუნდმა გაითამაშა ლატარია, წლეულს პლეი ოფში რომ ვერ მოხვდა და პირველი არჩევნის გაკეთების ბედნიერება სწორედ ზაზა ფაჩულიას „ორლანდოს" ხვდა. მეორე არჩევანს მარად უხეირო „კლიპერსი" დაეპატრონა, მესამე კი 1998 წლიდან, ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ ჩაყვინთულ და ეგრეც ვერ ამოყვინთულ „ჩიკაგოს" ერგო. მეოთხე არჩევანის პატრონად წინასწარვე გამოცხადებული იყო ახლადდაარსებული „შარლოტ ბობქეთსი".

ლატარიაში გამარჯვებული „ორლანდო" თავისთავად სხვებზე მომგებიან პოზიციაშია. მას უფლება ეძლევა, დრაფტზე წარმოდგენილი პერსპექტიული ბიჭებიდან ნებისმიერი აირჩიოს და მერე ვერ დაჩივლებს, ვთქვათ, ჯამაალ ტოპრუქის აყვანა მინდოდა და სხვამ დამასწროო.

„ორლანდოს" ბოლოს 1993 წლის დრაფტზე ერგო პირველი არჩევანი და მაშინ კლუბმა კრის ვებერი აირჩია, რომელიც დრაფტის მიმდინარეობისასვე „გოლდენ სტეიტს" ანფერნი ჰარდევეიში გაუცვალა. ხოლო ერთი წლით ადრე, როცა „მეჯიქს" ასევე პირველი არჩევანის უფლება ჰქონდა, კლუბმა შაკილ ონილს დაადო ხელი. ამ შერჩეულებმა „ორლანდოს" ლამის ჩემპიონობა მოუტანეს. ცოტა ხანში, უფრო ზუსტად კი 1995 წელს ონილმა და ჰარდევეიმ „მეჯიქი" ფინალში გაიყვანეს.

შარშან „ორლანდოს" მე-15, 42-ე და 43-ე არჩევნები ჰქონდა — 42-ე ნომრად ზაზა ფაჩულია აიყვანა.

ამ დრაფტის მონაწილე ბიჭებში შაკილ ონილივით ზეპერსპექტიული ბიჭები არ ჩანან, ასე რომ, გაურკვეველია, რომელ ახაბედაზე დახარჯავს „ორლანდო" ძვირფას არჩევანს.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ლატარიაში ნბა-ს 13 უარესი გუნდი მონაწილეობდა, დანარჩენებმა კი იმ თანმიმდევრობით მიიღეს არჩევნები, რომელი ადგილებიც დაიჭირეს რეგულარული ჩემპიონატის ცხრილში. ზოგიერთმა გუნდმა უფლება წინასწარ დაუთმო სხვას. „იუტა ჯაზს" ამგვარად პირველ წრეში სამი მოთამაშის აყვანის უფლება მოუგროვდა, ხოლო „ნიუ იორკს", „მინესოტას", „დალასს", „მემფისს", „ჰიუსტონს", „დეტროიტსა" და „მილუოკის" პირველი წრიდან არავინ ერგებათ.

კოტე ყორშია

დრაფტლატარია

1 ორლანდო	16 იუტა
2 ულიპერსი	17 ატლანტა
3 ჩიკაგო	18 ნიუ ორლეანი
4 შარლოტი	19 მაიამი
5 ვაშინგტონი	20 დენვერი
6 ატლანტა	21 იუტა
7 ფინიქსი	22 ნიუ ჯერსი
8 ტორონტო	23 პორტლენდი
9 ფილადელფია	24 ბოსტონი
10 ულივლენდი	25 ბოსტონი
11 გოლდენ სტეიტი	26 საკრამენტო
12 სიეტლი	27 ლეიკერსი
13 პორტლენდი	28 სან ანტონიო
14 იუტა	29 ინდიანა
15 ბოსტონი	

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი საპრიზო 13 263 280 €

როცა დედამიწა ბრტყელი იყო...

ფედერერი კიფერის ვალიდან ამოდის

26 მაისი. ოთხშაბათი

იანაიზ, გოუ ჰოუმ

ეგეთი რამე, რომ რაგინდარა სლემტურნირის მესამე წრემდე ვერც ერთ ამერიკელ კაცმეჩოგნეს ვერ მიეღწია, 1968 წლიდან ანუ ღია პირველობათა ეპოქაში არასოდეს მომხდარიყო. იმ დღის მერე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამასაც მოვესწარით.

ამერიკელთა ოტებას სათავე ტურნირის 1996 წლის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ დაუდო, ვინაც პირველ წრეში უსახელო ფრანგ ჟერომ ენელს ემსხვერპლა. უკანასკნელი იანკები კი, ვინაც პარიზული სეფეთიხნარიდან დაითხოვეს, ვინს სპადია და ენდი როდიკი იყვნენ. თანაც — რაც უნდ უცნაურად მოგეჩვენოთ — ესენიც უსახელო ფრანგებს შემოეჩოგნენ. 27-ე ნომრად განთესილი სპადია ვინმე ჟულიან ჟანპიერმა დაიფრინა, ამქრის მეორმეჩოგნე ენდი როდიკს კი ხუთსეტიან განდაგანაში ოლივიე მუტიმ ავჯობა.

ეს ჩემი კარიერის საუკეთესო მომენტიაო, სავსების ლოგიკურად იძახდა როდიკთან მოგებული მატჩის შემდეგ 26 წლის მუტი, თავად ენდიბოი კი უწინარესად ისევ თიხნართან თავის ძალზედ რთულ ურთიერთობებზე საუბრობდა.

„ვინმეს არ ეგონოს, თითქოს ამერიკელებს როლან გაროსი ჩოგანზე გვკიდია — დასძენდა ის — ეს ასე სულაც არ არის და პირადად მე აქ მეორე კვირამდე მაინც ვგეგმავდი დარჩენას. მაგრამ არც იმის დამალვა შეიძლებდა, რომ თიხნართან ცოტა მაინც მწყრალად ვართ. თუკი რომელიმე ჩვენთაგანი ამის უარყოფას შეეცდება, თხოვეთ, რომ საჩქაროდ საწინააღმდეგო დაგიმტკიცოთ.“

ზედიზედ 54-ე

ზედიზედ 54 სლემტურნირზე აქამდე მხოლოდ განთქმულ შვედ სტეფან ედბერგს ეთამაშა, იმდღევანდლის შემდეგ კი ასეთ რეკორდს უკვე 32 წლის სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირაც დაიკვეხს.

სარეკორდო სლემსერია ფერეირამ 1991 წლის ავსტრალიის ღია პირველობით დაიწყო და, თუ გაუმართლა, საამსეზონო უიმბლდონზევე უკვე ერთპიროვნული რეკორდსანი გახდება.

ისე კი — აქამომდელ 53 სლემტურნირზე ფერეირას ეგრეც არაფერი მოუგია. მან ორჯერ ითამაშა ავსტრალიის ღია ‘ პირველობის ნახევარფინალში, თითო-თითოჯერ უწია უიმბლდონურსა და აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალებს, ხოლო როლანგაროსობაზე მისი საუკეთესო მაჩვენებელი 1996 წელს მეოთხე წრემდე მისვლაა.

27 მაისი. ხუთშაბათი

მეორე წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 6:4, 7:6 (8:6); ლეიტონ ჰიუიტი (12, ავსტრალია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 6:4, 4:6, 6:2; ფელისიანო ლოპესი (23, ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:7 (3:7), 6:3, 6:4, 6:4; ალბერტ კოსტა (26, ესპანეთი) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:1, 6:2, 7:5; გუსტავო კუერტენი (28, ბრაზილია) — ჟილ ელსენე (ბელგია) 6:2, 6:0, 6:3; ჟულიენ გენეტო (საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:3, 1:6, 6:2, 7:5

ქალები

ჯენიფერ კაპარიატი (7, აშშ) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 7:5, 6:3; ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) — აი სუგიამა (12, იაპონია) 6:7 (4:7), 6:2, 6:1; შინობუ ასაგოე (იაპონია) — პატი შნიდერი (16, შვეიცარია) 7:5, 3:6, 6:4; ფრანჩესკა სკიავონე (17, იტალია) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:1, 4:6, 6:3; დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) — პეტრა მანდულა (29, უნგრეთი) 6:2, 6:3; მარი პიერსი (30, საფრანგეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:1, 6:1



როჯერ ფედერერი თიხაზეც უძლეველი ჩანს

REUTERS ბარი ზიდან

გერმანელი ნიკოლას კიფერი როჯერ ფედერერს აქამდე ხუთჯერ შეხვედროდა და სამჯერ ეძლია. მაგრამ ეს ადრე იყო, ბნელი რომ იყო ხალხი. ახლა კი 22 შვეიცარიელი ამქრის კენწეროში დგას და, მართალია, გუშინ არც ისე დამთრგუნველად გაირჯა, კიფერის გასავლელად მაინც ეყო.

მესამე წრეში უიმბლდონისა და ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენს შეხვდება, რომელმაც — თავის მხრივ — ერთობ იოლად ჩაუარა უსახელო ბელგიელ ელსენეს.

კარგია, რომ საუკეთესო ოცდათორმეტეულში ამქრის ყოფილი პირველოსანი ლეიტონ ჰიუიტიც მოხვდა. კისკასმა ·ოზბიჭმა, თიხნართან არც ისე დამტკბარი რომ გახლავთ და საუკეთესო როლანგაროსულ შედეგად 2001 წელს მეოთხედფინალში გასვლა დაეკვეხება, 2 საათსა და 44 წუთში დააჩოქა ყოჩაღი ავსტრიელი იურგენ მელცერი. ახლა მას შარშანდელ ფინალისტთან, ახმახ მარტინ ფერკერკთან მოუწევს დავა.

არა მგონია, ჩემი სტილი თიხნარს საუკეთესოდ ეხამებოდესო, ამბობდა გუშინდელი მატჩის შემდეგ ჰიუიტი. „ამქარში ჯიშად მეთიხნარენი მომრავლდნენ და ყოველ წრეში უმძიმესი ბრძოლების გადახდა გიხდება — დასძენდა მერე — ჩემთვის ასეთი ვითარება მით უფრო ძნელია, რომ საფართან შესაგუებლად დიდი დრო და ენერგია მიმდის. ასე რომ, ილუზიები არა მაქვს და კარგად ვიცი, აქ რისი მაქნისიც უნდა ვიყო“.

სხვაფრივ: გაივაკეს ოდინდელმა ჩემპიონებმაც — ალბერტ კოსტამ (2002) და ჯენიფერ კაპრიატიმ (2000). ესპანელი კრისტოფ როხუსს გასცდა და მყისვე ქადილს მოჰყვა — მიფრთხილდითო. ჯენი კი ასევე იოლად გაუსწორდა მავან ჩეხ პეშკეს, ხოლო ნამატჩევს თქვა, რომ ამერიკელი კაცებისგან განსხვავებით თიხნარზე ის თავს გადამთიელად სულაც არა გრძნობს.

სხვათა შორის, ასევე ფიქრობენ სხვა ამერიკელი ქალებიც, სახელდობრ კი — ლინდსი დევენპორტი, მარისა ირვინი და მეგან შონესი, რომელნიც თავიანთ სამესამწრეო შეხლებს დღეს გამართავენ. სახელიან ამერიკელ მდედრთაგან ტურნირის ნადრეკად დატოვება ლიზა რეიმონდსა და ეშლი ჰარკლროუდს მოუხდათ.

ლევან ძელაურაძე



REUTERS ბარი ზიდან

მარტინ ფერკერკი და ლეიტონ ჰიუიტი ერთმანეთს მალე გადაუჯვარედინებენ ჩოგნებს

არაფერს ვნანობ

წაგებული ჩემპიონი მოგებას იხსენებს

ბოლო თვენახევრის განმავლობაში რაღაც ვირუსის გამო უთამაშებელი ჟუსტინ ენენ-არდენი როლან გაროსზე ტიტულის დამცველი რომ არ იყო, ეგ თქვენც ჯარგად იცოდით. მაგრამ ტურნირის 79-წლოვან ისტორიაში ის პირველი მთავარგანთესილი მეჩოგნე თუ გახდებოდა, ვინაც მესამე წრეს ვერ მიატანა, მაგას ჯი ჩვენც ვერ წარმოვიდგენდით. სწორედ ამის გამო დავინტერესდით, თუ რა პასუხები გასცა მან იტალიელ ტატიანა გარბინთან დამარცხების შემდეგ ჟურნალისტებს

— ავადმყოფობის შემდეგ კორტზე ნაადრევად ხომ არ დაბრუნდით?

— ალბათ ასეა. მე რომ ასპროცენტიან ფორმაში არ ვიყავი, ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა და პირველ რიგში — ჩემთვის. მაგრამ გული არაფერზე მწყდება, მე აქ აუცილებლად უნდა მეთამაშა.

— რით ახსნით იმას, რომ დღეს იმაზე ცუდად ითამაშეთ, ვიდრე პირველ მატჩში სანდრინ ტესტიუსთან?

— აბა, რა უნდა გითხრათ. ჩემთვის ეს უცუდესი დღე იყო, მისთვის კი — საუკეთესო. სათქმელი მეტი არაფერია... მან დღეს ყველა შანსი გამოიყენა, მე კი ნაღდად არ ვჰგავდი იმას, ვინც აქ თორმეტი თვის წინ ყველას აჯობა. კორტზე დაბრუნება არასოდეს არის ადვილი ისეთი პრობლემების შემდეგ, მე რომ მქონდა. თუკი მაინც გადავწყვიტე აქ გამოსვლა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ, ჩემთვის ძალზედ ძვირფასი ტურნირის გამოტოვება არ მსურდა.

— როგორ ფიქრობთ, დარჩენილთაგან გაჩემპიონებას ვინ შეძლებს?

— აი, ეგ უკვე ნაღდად აღარ მედარდება.

— ფიზიკურად თქვენ ისეთი ძლიერი არა ხართ, როგორც დები უილიამსები. ამის გამო, სრულყოფილ ფიზიკურ მდგომარეობას თქვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მათთვის. ასეა?

— დიახ, საიმისოდ, რათა ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენო, ფიზიკურად მართლაც აბსოლუტურად მზად უნდა ვიყო. ჯანმრთელობის მხრივ უმცირესი პრობლემაც კი ჩემს თამაშს უფრო მაგრად ეტყობა, ვიდრე სხვა, უფრო ღონიერი გოგონებისას.

— შეიძლება ითქვას, რომ ეს თქვენი კარიერის უმძიმესი მარცხია?

— აქ ორი წლის წინ პირველსავე წრეში დავმარცხდი და მაინცდამაინც სასიამოვნოდ არც ის მახსენდება. მძიმე იყო წლეულს ამელია აილენდსა თუ დოჰაში წაფორხილებანიც. მაგრამ ამ წაგებას მართლაც ყველაზე მძიმედ განვიცდი.

— უიმბლდონამდე რამდენიმე კვირაღა რჩება. იქაც გამოხვალთ თუ მაინც დასვენებას არჩევთ?



არაფერს ვნანობო, ამბობს ჟუსტინ ენენ. მისი კი გვწამს, მაგრამ სახე გვაკვირვებს

REUTERS ბარი ზიდან

— ჯერ არ ვიცი. რამდენიმე დღე დავისვენებ, მერე ვარჯიშს გავაგრძელებ და იმისდა მიხედვით, როგორ ვიგრძნობ თავს, საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ.

ერთი კაცის წასვლა გაზაფხულს მოიყვანს?!

საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე შეხვედრაც დათმო. ამჯერად სტუმრად, მოლდოვასთან და ცხრილის ფსკერზე დაეშვა. რამდენიმე კვირის წინ შექმნილი გუნდისგან საერთაშორისო არენაზე გამარჯვებებით შეჭრას არც არავინ ელოდა, მაგრამ შვედეთთან 2:0 დაწინაურების შემდეგ წაგებულმა შეხვედრამ ქომაგს ნამდვილად დასწყვიტა გული. მარცხი საერთო გამოუცდელობას დაბრალდა და ამ მოსაზრებას ჩვენც ვეთანხმებით, თუმც აქა-იქ უკმაყოფილო საუბრები ნაკრების თავკაცის მისამართითაც გაისმა. გუშინ გუნდის მომავალ შეხვედრებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად ნუგზარ მიქაძეს რომ შევეხმიანეთ, მისგან მოულოდნელი განცხადება მოვისმინეთ:

— დღეს ფედერაციის ხელმძღვანელობას შევეხმიანე და თანამდებობის დატოვების თაობაზე დავურეკე. თუ საჭიროდ ჩათვლიან, მზად ვარ, ეს ნაბიჯი გადავდგა.

— რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?

— სრულიად უსაფუძვლო ბრალდების გამო. ერთ-ერთი გაზეთი წერს, რომ შვედეთთან მარცხი ჩემი ბრალია. არ უარვყოფ, პროფესიონალი არ ვარ, მაგრამ ის, რომ თამაში მხოლოდ ჩემმა შეცდომებმა წააგო, აბსურდია.

— მაშინ ნამდვილი მიზეზი გვითხარით.

— საქართველოს ნაკრები ახლა იქმნება. ევროპულ ფრენბურთს ათეულობით წლებით ჩამოვრჩებით და მარტო მონდომებით ფონს გასვლა ცოტა ძნელია. გამოუცდელობას ისიც ემატება, რომ სათადარიგო მოთამაშეები არ გვყავს. ძირითად ექვსეულს დიდი ჯაფა დააწვა და ბოლოს თავი დაღლილობამაც იჩინა, მაგრამ მერწმუნეთ, სათადარიგოების გამოყვანა საქმეს სასიკეთოდ ვერ შეცვლიდა.

— მაშასადამე ჩვენი გუნდის პერსპექტივაზე საუბარიც გადაჭარბებულია?

— პირიქით, პოტენცია არის და საკმაოდ დიდიც. იმავე შვედეთთან თამაშის წინ მთავარი საფიქრალი ის იყო, რომ არ შევრცხვენილიყავით. შვედები თბილისში პირდაპირ საერთაშორისო ტურნირიდან ჩამოვიდნენ და მათთან ორი პარტიის მოგება მართლა საოცრება იყო. საქართველოს ნაკრები ახლა იწყებს თამაშს და ხარისხის გამოსაჩენად დრო სჭირდება. ეგებ შედეგი ამ შესარჩევი ციკლის ჩამთავრებამდეც გამოჩნდეს.

— ფრენბურთის თავკაცების პოზიცია როგორია?

— მათგან მხარდაჭერა ვიგრძენი, თუმც კონკრეტულ პასუხს ჯერ მაინც ვერ გეტყვით.

ფედერაციის პოზიციის შესატყობად პრეზიდენტ ***ლევან ახვლედიანს*** *შევეხმიანეთ:*

— ნუგზარ მიქაძეს ვენდობით. მისი ნაკრებიდან წასვლა ვერანაირ ლოგიკაში ვერ ჯდება. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, თან ნურც ის დაგვავიწყდება, რომ გამოუცდელობაზე საუბრისას მარტო მოთამაშეებს არ ვგულისხმობთ. შესარჩევი ციკლი მიქაძემ უნდა ჩამთავროს. უცხოელი სპეციალისტის მოწვევა საქმეს ვერ უშველის, პირიქით, უცხოელი მეტ შეცდომას დაუშვებს.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ პირველი წრის დარჩენილ ორ თამაშს საქართველოს ნაკრები 18-20 ივნისს თბილისში, სლოვენიასთან და ხორვატიასთან გამართავს, მეორე წრე კი 2005 წლის გაზაფხულზე დაიწყება.

ოთარ მაღლაკელიძე

ბალდი კალილბის ფოტო

ფრენბურთელთა მწვრთნელ ნუგზარ მიქაძეს უკვე ფერიტიკებენ

87 giro d'italia

ჯიროს დიტალია 2004. 8-30 მაისი

მე-17 ეტაპი ჯიროს ძველმა ჩემპიონმა პაველ ტონკოვმა მოიგო

26 მაისს იტალიაში არაფერს ზეიმობენ, უბრალოდ დაემთხვა დასვენების დღე და 27-ში ველოებზე კვლავ ამხედრებულ მრბოლებს 153-კილომეტრიან მე-17 ეტაპზე მოულოდნელად უყოჩა რუსმა პაველ ტონკოვმა. მოულოდნელად იმიტომ, რომ ტონკოვი 35 წლისაა და ფავორიტთა სიიდან რამდენიმე წლის წინ ამოეწერა. ისე, რუსი ვეტერანი ჯიროს 1996 წლის გამარჯვებულია, ახლა კი ის საეთო ჩათვლაში მე-14 კაცად ჩაეწერა. საერთო ლიდერი კი კვლავაც დამიანო კუნეგო გახლავთ, რომელმაც ეტაპის გამარჯვებულთან ლამის სამი წუთი წააგო, მაგრამ უშუალო კონკურენტებთან ერთად მივიდა ფინიშზე და ლიდერის ვარდისფერი მაისურაც ულაპარაკოდ შეინარჩუნა.

მე-17 ეტაპი. 27 მაისი. ბრუნიკო — ფონდო სარნონიკო. 153 კმ

1 პაველ ტონკოვი (რუსეთი) ვინი კალდიროლა	3 სთ, 40 წთ, 05 წმ
2 ალესანდრო ბერტოლინი (იტალია) ალესიო-ბიანკი	+2 წთ, 15 წმ
3 ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com	+2 წთ, 49 წმ
4 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	
5 ფრანკო პელიკოტი (იტალია) ალესიო-ბიანკი	
8 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბოუკრედიტი	
17 სერგეი გონჩარი (უკრაინა) დე ნარდი	
20 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	ყველა იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	76 სთ, 44 წთ, 15 წმ
2 სერგეი გონჩარი (უკრაინა) დე ნარდი	+1 წთ, 14 წმ
3 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბოუკრედიტ	+2 წთ, 22 წმ
4 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	+2 წთ, 38 წმ
5 ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJeux.com	+4 წთ, 04 წმ
14 პაველ ტონკოვი (რუსეთი) ვინი კალდიროლა	+6 წთ, 38 წმ

ეაპონელებს ბმბია დაეღუპათ შერპები კი ზეიმობენ

გახსოვთ, ჩვენი ძველი ნაცნობი, ნეპალელი მთამსვლელი და ალპინისტთა სახელგანთქმული მეგზური, აპა შერპა, რომელიც ამ სამი წლის წინათ თბილისში გვსტუმრობდა. იმ დროს აპა შერპა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ასვლების რაოდენობის მხრივ მსოფლიოს რეკორდსმენი იყო. როცა დავინტერესდით, კიდევ რამდენჯერ აპირებ ევერესტზე ასვლასო, გვიპასუხა, მანამ შემიძლია, იქ სიარულს არ მოვიშლიო.

და აი, ევერესტიდან მოვიდა ცნობა, რომ აპა შერპა დედამიწის სახურავზე მეთოთხმეტედ ავიდა.

ევერესტზე ერთი რეკორდი დამყარდა — მასზე სწრაფად ასვლის რეკორდი. მისი ავტორი გახდა სხვა შერპი — პემბა დორჯი. მან მესამე პოლუსად წოდებულ ამ მწვერვალზე წარმოუდგენლად სწრაფად, 8 საათსა და 10 წუთში „აირბინა". არადა, შარშან, როცა ევერესტზე პირველასვლის საიუბილეო თარიღი, 50 წლოვანი იუბილე აღინიშნა, პემბა დორჯმა მწვერვალი 12 საათსა და 45 წუთში დალაშქრა, რაც ასევე ყველას წარმოუდგენელ სისწრაფედ ეჩვენა. თუმცა, სამი დღის მერე მის რეკორდს მისივე თანამემამულე ლაკრა გელა შერპამ შეუტია და დაამხო კიდეც — 10 საათი და 56 წუთი. მაშინ პემბა დორჯმა ლაკრა გელას რეკორდი საეჭვოდ მიიჩნია. მან ეს ხმამაღლადაც განაცხადა, მაგრამ ნეპალის ტურიზმის სამინისტრო, რომელიც ჰიმალაურ რეკორდებს ბეჭედს ასვამს, ლაკრა გელას ლაშქრობა გამოიძია და დაადგინა, რომ საეჭვო არაფერიაო.

ახლა ნეპალის ტურიზმის სამინისტრომ თავად პემბა დორჯის მიღწევა უნდა დაამტკიცოს.

ევერესტზე დამყარდა სამწუხარო რეკორდიც. ერთი კვირის წინათ 64 წლის იაპონელმა ხოკო ოტამ ეს მწვერვალი დალაშქრა და აღმოჩნდა დედამიწის სახურავზე ყველაზე უხუცესი ამსვლელი ქალი. სამწუხაროდ, გახარებული ბებია დაშვებისას დაიღუპა და იგი ევერესტის დამლაშქრავთაგან ასევე უხუცესი აღმოჩნდა, ვინც ამ გოლიათს შეეწირა.



აპა შერპა

დედამიწის უმაღლესი მწვერვალი მასზე პირველი ასვლის დღიდან სულ 1300-ზე მეტმა კაცმა დალაშქრა. იმათგან 200-მდე კაცმა სამუდამო განსასვენებელიც მის ფერდობებზე ჰპოვა.

წლეულს ევერესტის ფერდობებს სხვადასხვა ქვეყნის 13 ექსპედიციის მთამსვლელები შეესივნენ, რომელთა ნაწილს ლაშქრობები ჯერ არ დაუსრულებია.

ავთანდილ ბუკიშელი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. VI ტური

ვიუპა 0:1 ალიანსი
იარო 1:2 როვანიემი
ტპ-47 — ტამპერე გადაიდო
ჰაკა — ჰაამენლინა გადაიდო

ისლანდია

პრემიერდივიზიონი
მესამე ტური

აკურეირი 0:1 ვესტმანაეიარი
რეიკიავიკი 2:1 ვიკინგური
გრინდავიკი 0:2 ფილკირი
ჰაფნარფიორდური — კეფლავიკი
დღეს გაიმართება

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XXXII ტური

ფერენცვაროში 3:1 დებრეცენი
ბალატონი 0:1 ზოპრონი
მტკ 1:1 უიპეშტი

ევროპის ახალგაზრდული (U-21) ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური

სერბეთი 3:2 ხორვატია
იტალია 1:2 ბელარუსი

შვედეთი

თასის III ეტაპი

სუნდსვალი 1:0 ენკიოპინგი
იორგრიტე 5:0 ატვიდაბერგი

მსპანეთი

სეგუნდადივიზიონი
გადადებული მატჩი

ალხესირასი 2:1 ხერესი

ნორვეგია

თასის პირველი ეტაპი

ტრომსდალენი 0:1 ლოფოტენი
ვოლდა 0:5 მიოლდე

ბელგია

მეორე კლასი
პლეი ოფი

ოსტენდე 1:0 ტუგეკე
რუზელარე 2:4 გეელი

ამსანაგური მატჩები

ნორვეგია 0:0 უელსი
ესტონეთი 0:1 შოტლანდია
გერმანია 7:0 მალტა
ირლანდია 1:0 რუმინეთი

ახალგაზრდულები (U-21)

ფინეთი 2:0 პოლონეთი

REUTERS შეკონიდან

ამერიკელი სათავეში

ჩინეთი კალათბურთის განვითარებას მაგრად მიაწვა. ათენის ოლიმპიადაზე ეროვნული ნაკრები გვარიან ბრძოლას გასწევს, მით უმეტეს, რომ ჰყავს ნბა-ს გოლიათი იაო მინგი. მაგრამ ამ გოლიათის გარდა ჩინელებს ამერიკელი მწვრთნელიც ჰყავთ: დელ ჰარისი ნაკრებს სწორედაც რომ თანამედროვედ ათამაშებს.

ღირსება და გაქნილობა

შავი მსოფლიოს ღირსება და პატიოსნება შეხვედრია ამავე მსოფლიოს გაქნილობას და მომხვეჭელობას. ასეა, როცა ნელსონ მანდელა დონ კინგს გაუცინებს. მიზეზი კი კარნავალ-სიტიში მიმდინარე საკრივო ფესტივალი და ხუთბრძოლიანი სალამოა.

REUTERS იოჰანესბურგიდან

კარგ ხასიათზე

ავსტრალიის სარაგბო ნაკრებში [illegible] ბოლო ... აშკარად კარგ ხასიათზეა და სიდნეის „ოლიმპიადის“ კარუსელებზე ლაღობს. „ვოლაბხა“ უფრიხიზმ შეიმ გამოაცხადა 27-კაციანი შემადგენლობა, რომელიც 13 ივნისს შოტლანდიას უმასპინძლებს.

REUTERS სიდნეიდან

აკერი

REUTERS ბრემენიდან

ბრემენის „ვერდერი“ ბუნდესლიგის ჩემპიონი შეიქნა და საზეიმო სადილმაც არ დაახანა. ამ სადილზე კი თვით გერმანიის კანცლერი, გერჰარდ შროიდერი (მარჯვნივ) გამოჩნდა, ვისაც „ვერდერის“ მწვრთნელმა, თომას შაფმა ცხრანომრიანი საკლუბო მაისურა გადასცა. მაისურას გვარის ნაცვლად შროიდერის სიყმაწვილისდროინდელი მეტსახელი აწერია. კანცლერი ბურთის გორებაში უვიცი სულაც არ ყოფილა.

კლიჩკო კადეტებთან

კიევის ბოგუნის სამხედრო ლიცეუმის ბიჭებს ხალისის დილა გასთენებიათ — მსოფლიოს ჩემპიონი, მოკრივე ვიტალი კლიჩკო სწვევიათ. ვიტალი და მისი ძმა ვალოდია უკრაინის უსაყვარლესი გმირები არიან და კიევშიც ხშირად ჩადიან.



REUTERS კიევიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, შირაან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge